# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 ივლისი 2002 №129 (1651) | ფასი 50 თეთრი


# გადაგყვებით თან! გადაყვებით თან!
## დინამოს შენებე გაშსინჯეს


მერაბ ჟორდანიას და სფფ-ს 30 000-ზე უარი უთხრეს

10 ათასი ლარი ის ფულია, რომელსაც დღევანდელმა ქართველმა გულგრილად ვერ უნდა შეხედოს, ამიტომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განაჩენმა, რომლის თანახმად თბილისის „დინამოს", ზესტაფონის „მეტალურგს" და დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციას ნახსენები თანხების ჩამოყაჭვა დაეკისრათ, ფრიადი რეზონანსი გამოიწვია. გადაგყვებით თან, ამ პათოსით შედგა გუშინ ნახსენებ ორგანიზაციათა პრესკონფერენცია, რომელზეც გაირკვა, რომ „დინამოს" იურისტ ნიკა კობალავას შინაგან საქმეთა ორგანოს ხალხი აწუხებს მაშინ, როცა მისი შინაგანი საქმეები სრულ წესრიგშია: ნარკოტიკებს კი არა, თურმე ასპირინის გარდა წამალსაც არასდროს გაჰკარებია. კობალავას და სხვებს აწუხებს აგრეთვე ფეხბურთის ფედერაცია, როგორც უკვე გითხარით და ქართული ფეხბურთის ზემდგომ ორგანოს კონკრეტულად „დინამოსგან" ჯარიმის ამოღების ხერხისმიერი მეთოდი მოუფიქრებია: უეფას თასზე თამაშისთვის ათგზის ჩემპიონებმა რომ 80 ათასი შვეიცარიული ფრანკი მიიღეს, ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ყოფილა და იქიდან ჩამოვჭრითო. დაზარალებულებს კი ეგეც აღარ უნდათ, ისედაც უეფასკენ იქაჩებიან საჩივრის სიტყვებით და სკანდალი მწიფობაში შედის.

# მთავარი აქტი



## კონტრაქტი
### კლუბი: დენვერ ნაგიტსი
### მოთამაშე: ნიკოლოზ ცქიტიშვილი

საჭიროა მხოლოდ ფაქსიმილეთა აღბეჭდვა პუნქტებით აჭრელებულ მაღალი ხარისხის ქაღალდზე და ძალაში შევა ის, რაც უკვე ფაქტია: ქართველი კალათბურთელი, ნიკა ცქიტიშვილი „დენვერ ნაგიტსის" წევრი გახდება და ვლადიმერ სტეფანიას კვალდაკვალ შედგება შარაგზაზე, რომელსაც პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგა, მოკლედ კი ნბა ეწოდება. წინაღობები უკვე გაქრა: იტალიური ტრევიზოს „ბენეტონი" ქართველს 350 ათასი დოლარის სანაცვლოდ გაათავისუფლებს. ამ დროს კი ცოტა ცერად მისდის საქმე „დენვერის" მეორე ნადრაფტალ ყმაწვილს ნენე ილარიოს. ბრაზილიური „ვასკუ და გამა" მსუნაგად იძახის, ჩემი ნენე მასე ხარის კუდის ფასად არ მიდის და იანკებო, ჯიბე უფრო მოიშილეთო. პრობლემები აქვს წლევანდელი დრაფტის მყვირალა სახელ იაო მინგსაც, ოღონდ ამას პოლიტიკური ხასიათისა, რადგან ჩინელია და ჩინეთი კიდევ – კომუნისტების. ნიკა საზაფხულო ლიგაში თამაშს ელის, მანამდე კი არა კალათბურთით, არამედ იმის მტკიცებით იღლება, რომ ჯორჯია მეორეც არსებობს და იგი თავად ბალერინი კი არა, ქართულად მოცეკვავე იყო. აგურმანებს მექსიკურ კერძებს და იმრავლებს ფანებს. მთავარი წინ არის...

# ურჩი გადამხდელები
## ფედერაცია თეთრსაც ვერ მიიღებს

**საგანგებო კომიტეტისგან** შერისხულმა და დაჯარიმებულმა ტრიომ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტთა სახლში მისულებს „დინამოს" იურისტმა ნიკოლოზ კობალავამ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ავთანდილ კოკაიამ გვიმასპინძლეს.

პრესკონფერენციას ზესტაფონის „მეტალურგის" წარმომადგენელი არ დასწრებია. მიზეზად მოუცლელობა დაასახელეს, თუმცა დაგვარწმუნეს, ზესტაფონელთა აზრი ჩვენს პოზიციას ზუსტად ემთხვევაო.

პრესკონფერენციის დაწყებამდეც ცნობილი იყო, რისი თქმა სურდათ მასპინძლებს. საგანგებო კომიტეტისგან დასჯილებს თადარიგი ადრიანად დაეჭირათ და ჟურნალისტებს გამზადებული პრეს-რელიზი მაგიდაზე დაგვახვედრეს.

„ფეხბურთის ფედერაციის სანქციები უკანონოა და იგი 30 ათას ლარს ვერ მიიღებს — განაცხადა „დინამოს" იურისტმა ნიკოლოზ კობალავამ — ჩვენ არ ვაპირებდით ფედერაციასთან დავას, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შეტანილი განცხადება საქმის უდავო წარმოებას ითვალისწინებდა. ყოველივეს დავის სახე ფედერაციის „ტროიკამ" მისცა. კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაგვიდენია.

ჟორდანია-ჩოლარია-ჩივაძის გადაწყვეტილება — ეს არის მორიგი ზეწოლა კლუბებსა და ყრილობის დელეგატებზე, რაც უხეშად ეწინააღმდეგება ფეარ ფლეის პრინციპებს.

ფულს, ვიმეორებთ, არ გადავიხდით, აღნიშნული ვერდიქტი გასაჩივრდება ფედერაციის სააპელაციო კომიტეტში, თუ სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ — და ამაში დარწმუნებულები ვართ — იგივე სარჩელით დელეგირებას მივცემთ „დინამოს", რათა მან უეფას საფეხბურთო კლუბების ფორუმზე დააყენოს აღნიშნული საკითხი. მზად ვართ, ფიფას და უეფას შესაბამის სტრუქტურებშიც ვიჩივლოთ. მხოლოდ მათი გადაწყვეტილებების შემდეგ შეიძლება ჯარიმის გადახდა-არგადახდაზე საუბარი. დღეს მიგვაჩნია, რომ სიმართლე ჩვენსკენაა."

თბილისის ფედერაციის თავკაცმა ავთანდილ კოკაიამ თავისებურად დაადანაშაულა ზემდგომი ინსტანცია, ჟორდანიას ძველი მხარდაჭერა შეახსენა და ჩოლარიასთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვა. „4 წელიწადია, არ უკითხავთ, რითი ვსულდგმულობთ, არაფრით დაგვხმარებიან, ახლა კი იმ ოფისსაც გვედავებიან, რომელიც უპატრონოდ იყო მიტოვებული და ამ ხნის მანძილზე ჩვენ ვინახავდით. 24 აგვისტომდე თბილისის ფედერაცია იამანიძის ქუჩაზე, ხუთ ნომერში დარჩება, მერე კი გამოჩნდება ხალხი, ვინც დედაქალაქის ფეხბურთს უსახლკაროდ არ დატოვებს."

კოკაიას მოგვიანებით მხარი თბილისის ფედერაციის აღმასკომმაც დაუჭირა. დაკისრებულ ჯარიმას არ გადავიხდით და დროა, ზეწოლა შეწყდესო.

ის იყო, დაშლას ვაპირებდით, რომ ნიკოლოზ კობალავამ, დარჩნა გვთხოვა: „ვიდრე აქ მოვიდოდი, ავტომანქანიდან გადმოსულს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოლოგიური განყოფილების ორი თანამშრომელი მომადგა. გამომკითხეს, რა დამოკიდებულება მაქვს ნარკოტიკებთან, ან ხომ არ მაწუხებს რამე. გუშინ და გუშინწინ იგივე დაკითხვა ჩვენი გუნდის ორ [illegible]. ერთხელ და საბოლოოდ მინდა განვაცხადო, რომ გულს, ღვიძლს, თირკმელს და სხეულის სხვა ორგანოებს არასდროს შევუწუხებივარ, ასპირინის გარდა წამალიც არასდროს მიმიღია, ნარკოტიკებთან დამოკიდებულება როგორ არა მაქვს, მაგრამ მხოლოდ უარყოფითი".

პრესკონფერენციაც ამით დასრულდა. დასჯილები, ცხადია, ფულს არ გადაიხდიან, მაგრამ უპრიანი იქნება, ვიკითხოთ, რას აპირებს ფეხბურთის ფედერაცია? იქაურთა პოზიცია უცვლელია, „დინამოს", „მეტალურგსა" და თბილისის ფედერაციას ჯარიმის გადასახდელად ვადა 24 ივლისამდე აქვთო.

ფედერაციის თავკაცთა თქმით, „დინამოს" სხვა სასჯელი არც ემუქრება — ჩათვალეთ, რომ ის ფული ათგზის ჩემპიონმა უკვე გადაიხადა. „დინამოს" უეფას თასზე მონაწილეობისთვის 80 ათასი შვეიცარული ფრანკი ერგო. ეს ფული ფედერაციის ანგარიშზეა და უეფას კანონებით სრული უფლება გვაქვს, დავალიანება ჩამოვაჭრათ. 80 ათასიდან უეფამ კუთვნილი 9 200 ფრანკი უკვე დაიტოვა, 10 ათასი ლარის ექვივალენტს და ორი გუნდის ჩემპიონატში სამონაწილეო თანხას ფედერაცია მიიღებს, ხოლო დანარჩენი იმ საბანკო ანგარიშზე მიუვათ, რომელსაც შემოგვთავაზებენ. ამის შესახებ „დინამოს" წერილი უკვე ვაახლეთ და ამ დროისთვის საქმის არსიც ეცოდინებათო — გვითხრეს ფედერაციაში.

რაც შეეხება თბილისის ფედერაციას და „მეტალურგს", ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მათ საქმეს თურმე აღმასკომი განიხილავს და განაჩენსაც ის გამოუტანს.

თუ ფული არ გადაიხადეს, ზესტაფონურ კლუბს პირველ ლიგაში (იქნებ რეგიონულშიც) ჩაქვეითება, ხოლო თბილისის ფედერაციის თავკაც ავთანდილ კოკაის საარჩევნო ხმის დაკარგვა ემუქრება.

**გამუქა ძგანტალიანი**





„დინამოს" იურისტი ნიკა კობალავა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ კოკაია

# შარშან განითლებულები წლეულს მოიკითხეს

**17 ივლისს** ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს დაიწყებს, 15 აგვისტოს კი „დინამო" და „ლოკომოტივი" ითამაშებენ უეფას თასზე.

სამი ქართული გუნდიდან მხოლოდ ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" დაუპირისპირდება მეტოქეს ძირითადი შემადგენლობით. უეფამ ევროსარბიელზე გასულ გუნდებს შარშანდელი ცოდვები დაუთვალა და წითელბარათიანი ფეხბურთელების ნუსხა გამოაქვეყნა.

ფარერულ „B36 ტორსჰავენთან" ორმატჩიან დუელს გამოტოვებს ტორპედოელი ვახტანგ ხვადაგიანი, რომელიც ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან" შარშან ქუთაისურ მატჩში გააძევეს. უეფამ ქართველი მცველი 4 თამაშით დასაჯა. ხვადაგიანმა ორი უკვე გამოტოვა, შარშანვე მას „კოპენჰაგენთან" არც ერთ შეხვედრაში არ უთამაშია. თუ „ტორპედო" ფარერულ ბარიერს დაძლევს, მაშინ ჩეხურ „სპარტასთან" დისკვალიფიკაციამოხდილი ხვადაგიანი მოედანზე იქნება.

„დინამოს" ლადო ბურდულის გარეშე მოუწევს ესტონურ „ტულევიკთან" გამკლავება. მას ბორისოვის „ბატესთან" სტუმრად მიღებული წითელი ბარათი ორმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. იმ მატჩში მეკარე სოსო გრიშიკაშვილიც გააძევეს. უეფამ ჩვენებური 4 თამაშით მოკვეთა ევროთამაშებიდან, თუმც სოსო დღეს უგუნდოდაა და სასჯელს, იმედია, მოგვიანებით მოიხდის.

1 თამაშით დაისაჯა ბათუმელი ივანე მახარაძე. ჯონი ჯანელიძის ყოფილ მოყვარულებს — მიხეილ გრიგალაშვილსა და გოჩა ხვიჩიას შესაბამისად ორ და სამ თამაშიანი დისკვალიფიკაციები აქვთ. ესენი ჯერაც თავიანთ რიგს ელიან, თუ ევროსარბიელზე გააღწიეს, ძველ ცოდვებს მხოლოდ მაშინ მოჰკითხავენ.

**გამუქა ძგანტალიანი**



ვახტანგ ხვადაგიანი (მარჯვნივ) „ტორპედოს" ვერაფრით დაეხმარება

# მამალაძემ დაარიგა

**დიდი წვალებისა** და ჭირ-ვარამის გამოვლის შემდეგ „მერანის" თბილისელ მეპატრონეს ანზორ მამალაძეს დღეს თამამად შეუძლია, დაიტრაბახოს, რომ ავჭალურ კლუბს თავის ფეხბურთელებისა თეთრიც არ მართებს.

„მერანმა" დავალიანება მწვრთნელებს და გუნდის ტექნიკურ პერსონალსაც გაუსტუმრა.

ოთარ გაბელია რამდენიმე დღეა, შეგირდებს ავარჯიშებს. თავიდან „სინათლეზე" 45 ფეხბურთელი ვარჯიშობდა. ძირითად ბირთვს გუნდში მოხვედრის მსურველები ემატებოდნენ და მწვრთნელიც ნელ-ნელა აკომპლექტებდა ახალ „მერანს".

სადღეისოდ იმის თქმათ შეიძლება, რომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება ყვავილნარში დაგეგმილი ორკვირიანი შეკრების მოწყობა. საამისოდ კლუბში ფული აღარ დარჩა, გაბელიაც იძულებულია, ავჭალაში დააკვირდეს „მერანში" თამაშის მსურველებს.

„სინათლეს" დაუბრუნდა გუნდის კაპიტანი იოსებ დევიძე, რომელსაც „ტორპედოსთან" თითქმის ხელმოწერილი კონტრაქტი ბოლო წამს ჩაეშალა. ავჭალაში ვარჯიშობს თავდამსხმელი გრიგოლ გვაზავა, რომელიც ქომაგებს გაბელიასდროინდელი თსუ-დან და ზესტაფონის „მეტალურგიდან" შეიძლება ახსოვდეთ. გვაზავა ბოლო დროს ტრავმებმა შეაწუხეს და მეცამეტე ეროვნულში არ უთამაშია.

ორშაბათიდან ოთარ გაბელია იმ ფეხბურთელთა სიას გამოაცხადებს, რომელთა ზურგზეც მეთოთხმეტე ჩემპიონატის სიმძიმე გადაივლის. მერე, თუ ფული გამოჩნდა, შეკრებაც მოესწრება, არადა, ავჭალაში სირბილი და მისი ჯანი. „მერანი" ბოლო წლებში ასეთ სიდუხჭირეს შეეჩვია. ავჭალელები ხომ ფუფუნების გარეშეც იოლად შედიოდნენ ზექვსეულში.

**გამუქა ძგანტალიანი**

# პირველის პირველი გაირჩვა

**მეთოთხმეტე ეროვნული** ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი უკვე გაახლეთ. აი, პირველი ლიგის კალენდარის შედგენა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს ოდნავ გაუჯანჯლდა, თუმც ამაში „დამნაშავე", ალბათ, თავად განახლებული სისტემაა. მოგეხსენებათ, პირველ ლიგაში მონაწილე გუნდები ახალ სეზონში ორ წრედ, ყოველგვარი პლეი ოფებისა და ექვსეულების გარეშე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თანაც გუნდების საერთო რიცხვი ცამეტამდე გაიზარდა. საქმე ისაა, რომ აქამდე ცნობილ თორმეტეულს უკონკურსო ჭაბუკთა ნაკრებიც დაემატა.

გუშინ სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტში პირველი ლიგის გუნდთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ და პირველი ტურის თამაშების განრიგიც დაამტკიცეს. მთლიან კალენდარს კი ფედერაციიდან უახლოეს დღეებში გვაახლებენ.

პირველ ტურში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ჭაბუკთა ნაკრები — იბერია (ხაშური)**
**დინამო 2 (თბილისი) — ლოკომოტივი 2 (თბილისი)**
**სამგურალი (წყალტუბო) — მერცხალი (ოზურგეთი)**
**ლაზიკა (ზუგდიდი) — ძიგულითი**
**ცხინვალი — მცხეთა**
**თსუ — კოლხეთი (ხობი)**
გურია (ლანჩხუთი) ისვენებს.

პირველი ტურის მატჩები 31 აგვისტოს გაიმართება.

**ქახა ზალამბერიძე**

**ინდსაწარმო «არეალი»**
თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს
მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (გოლოვების გარაჟი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 64 07 01
ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით

**იყიდება**
მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისში დასტამბული უნიკალური წიგნები, ასევე სხვა მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

**შვეიცარია**
B ჯგუფი. II ტური
ლუგანო ხ0 სიონი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# რუსეთი 6 აგვისტოს შეიქმნება

## გაზაევმა ნაკრებს სამი ერთიანი დაუწერა





ვიაჩესლავ კოლოსკოვი ვალერი გაზაევს გვარიან გასამრჯელოს დაპირდა

### რუსეთი

**რუსთა ნაკრების** ახალი მწვრთნელი ვალერი გაზაევი გაწამაწიაშია და დიდ სანაკრებო ცვლილებებს გეგმავს. ულვაშა მწვრთნელმა, გუნდის გაახალგაზრდავება გარდაუვალია და მალე ნაკრების ახალ კანდიდატებს დავასახელებო.

გუშინ კი საბოლოოდ გადაწყდა, რომ გაზაევი თანაშემწეების და ნაკრების კანდიდატთა სრულ სიას 6 აგვისტოს წარადგენს რუსეთის საფეხბურთო კავშირის ყრილობაზე. ძნელი სათქმელია, როგორი იქნება გაზაევის „ახალი რუსეთი", ერთი რამ კი გადაწყვეტილია, სანაკრებო 30 კანდიდატს შორის აუცილებლად იქნებიან ოჟიგიკოვი, მანდრიკინი და ნიგმატულინი. ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად განაცხადა გაზაევმა — ეროვნული გუნდისთვის მხოლოდ ეს სამი მეკარე გამომადგებაო.

ცსკა-ს თავკაცის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა რუსეთში. გაზაევს პარალელურად კლუბში მუშაობას უწუნებდნენ და ეს პრობლემაც მოგვარდა. გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვთან შეხვედრისას გაზაევმა პირობა დადო, სეზონის ბოლოს გავწყვეტ კონტრაქტს არმიულ კლუბთანო. ამ დაპირების წინაპირობა კოლოსკოვის განცხადება გახლდათ გაზაევის გასამრჯელოსთან დაკავშირებით. „რუსეთის ნაკრების მწვრთნელს ორი წყაროდან დავაფინანსებთ. იგი ხელფას-პრემიას მიიღებს, როგორც რუსეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ფიფას მიერ გადმორიცხული თანხიდან, ასევე სპონსორთა შემოსავლებიდან და ეს გაცილებით მეტი იქნება იმაზე, რასაც ცსკა-ში იღებს გაზაევი". აი, სწორედ ამ სიტყვებმა დააგდებინა მეორე სადავე გაზაევს, ორიოდე დღის წინ რომ ამბობდა, ცსკა-ს და ნაკრების ხელმძღვანელობის შეთავსება მომავალშიც არ გამიჭირდება, იქნებ ამან უფრო კარგი შედეგი მოიტანოსო.

მოკლედ, 6 აგვისტოს ბევრი რამ გაირკვევა, რუსი ჟურნალისტები კი პროგნოზებსაც არ ერიდებიან და გაზაევის თანაშემწედ ეროვნულ ნაკრებში „ლოკომოტივის" თავკაც იური სიომინს ასახელებენ.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ 18 ივლისს იმ მწვრთნელის ვინაობაც გაირკვევა, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს რომ დამოძღვრავს და ქართველებს დაუპირისპირდება ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლაში. რუსეთის საფეხბურთო კავშირის მწვრთნელთა საბჭოს სამს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. ოლეგ დოლმატოვი, ალექსანდრ ავერიანოვი, სერგეი შავლო — ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ამათში აირჩევა.

**ბაატა ძგანტალიანი**

# აზუზიმ დეკანოსიძისთვის გაიხადა

## ქართველმა სამადლობელი გოლით გადაიხადა



გიორგი დეკანოსიძე (მარცხნივ) ჭერჭერობით საკონტროლო გოლით დაიკვეხნის

**წინა** ბუნდესლიგური სეზონი ქართველთათვის ერთობ უილბლო გამოდგა. ორივე „ქართული" კლუბი — „ფრაიბურგი" და „კიოლნი" ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ და ახალ სეზონს მეორე ბუნდესლიგაში შეხვდებიან, სადაც მათ კიდევ ერთი ჩვენებური, ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე დახვდა.

გასულ სეზონს მაინცდამაინც იღბლიანი არც გიორგი დეკანოსიძისთვის ეთქმოდა, თუმცა მეორე წრეში „ფიურტის" მთავარ მწვრთნელად ჰოიგენ ჰახის დანიშვნის მერე ქართველი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურდა. საბოლოოდ „ფიურტმა" სეზონი მეხუთე ადგილზე ჩაამთავრა, არადა, რამდენიმე ტურით ადრე ბუნდესლიგაში ასვლის კარგი შანსიც ჰქონდა.

კლუბის ხელმძღვანელობამ იქამდე უხეიროდ მოთამაშე გუნდის მიერ მიღწეული შედეგი მაინც დადებითად შეაფასა და ჰოიგენ ჰახსაც უდიდესი ნდობა გამოუცხადა. ახლა „ფიურტის" უპირველესი მიზანი ბუნდესლიგაა.

„ფიურტი" უკვე სერიოზულად ემზადება საახალსეზონოდ. გიორგი დეკანოსიძეც, ცხადია, გუნდთან ერთადაა და ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად თავს არ ზოგავს.

გუშინწინ, ქალაქ ფინშგაუშში გამართულ ამხანაგურ მატჩში, სადაც ერთმანეთს ადგილობრივი „აუსვალი" და „ფიურტი" ხვდებოდნენ, გიორგი დეკანოსიძემ 55-ე წუთზე გოლი გაიტანა. მის გარდა თავი როსლერმა, რუმანმა და ჰილდებრანდმაც გამოიჩინეს და საბოლოოდ „ფიურტმა" 4:1 დაამარცხა რეგიონალლიგელი მეტოქე.

აქვე ერთიც ვთქვათ: ახალ ჩემპიონატში გიორგი დეკანოსიძე 20-ნომრიან მაისურას მოირგებს. აქამდე ეს ნომერი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, აზუზის საკუთრება იყო, ჩვენებურს კი 24 ნომერი ემოსა. ახლა კი აზუზის საპატიო 10-იანი გადასცეს და დეკანოსიძესაც მისი ნომერი „უსახსოვრეს".

**კახა შალამბერიძე**



დანიური „კოპენჰაგენიდან" ვლადიკავკაზის „ალანიაში" გადასვლისთანავე მიხეილ აშვეთიას მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია. მალე მას გიორგი დემეტრაძეც შეუერთდა და... მეტოქეებს ქართული თავდასხმით დავბომბავთო — განუცხადა მაშინ „სარბიელს" მიხეილ აშვეთიამ. თუმც ქუთაისელმა ფორვარდმა ეს დანაპირები ნაწილობრივ „შეასრულა": ბოლო ტურში „ტორპედო ზილის" კარში დემეტრაძე-აშვეთიამ წყვილად გაიტანეს და „ალანიას" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოაპოვებინეს. ნაწილობრივ კი იმიტომ ვახსენეთ, რომ „ალანიას" მესამე ქართველი, გია იმედაძე მატჩის განაცხადშიც არ იყო და საერთოდაც, 21 წლის ქუთაისელი ფორვარდი ბოლო ხანს თითქოს ჩრდილში მოექცა. გია იმედაძეს გუშინ ვლადიკავკაზში დავუკავშირდით და უთამაშებლობის მიზეზებზე, „ალანიაში" მის მომავალზე და საქართველოს ნაკრებზეც ვესაუბრეთ

# ძალა შეგვწევს დარჩენისა

## აშვეთია-დემეტრაძეს იმედაძე ბანს ეტყვის

**— ბოლო თამაშებია, „ალანიას" შემადგენლობაში არ ჩანხართ. მეტიც, სათადარიგოებშიც არ ხართ...**

— დაახლოებით ერთი კვირაა, რაც ვლადიკავკაზში ჩამოვედი. მანამდე ტრავმას ვმკურნალობდი.

**— რა გაწუხებდათ?**

— საზარდული ამტკივდა და კლუბის ხელმძღვანელობამ გამათავისუფლა. ქუთაისში ვიმკურნალე და ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ.

**— ეგ ტრავმა ადრეც გაწუხებდათ.**

— დიახ. საზარდული ადრეც მტკიოდა და ოპერაციაც გავიკეთე. ახლა სწორედ ეს ნაოპერაციევი გამიმიზეზდა, თუმც საშიში არაფერია, უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— გუნდთან ერთად?**

— დიახ. უკვე ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვემზადები. იმედი მაქვს, მალე ფორმაში ჩავდგები.

**— ესე იგი მომავალ მატჩებში „ალანიას" შემადგენლობაში გიხილავთ?**

— ეს ჩემზეა დამოკიდებული. ტრავმის გამო ბევრი გამიცდა და ახლა გარკვეული დრო მჭირდება ფორმის აღსადგენად.

**— „ალანიაში" ამჟამად სამი ქართველი ხართ და სამივე თავდამსხმელი. როგორ ფიქრობთ, მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძე თქვენთვის კონკურენტებად ითვლებიან თუ სამივეს ერთად თამაშიც შესაძლებელია?**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან მოუმზადებელი ვარ, თუმც ეს მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტია. ძალიან კი მინდა, სამივემ ერთად ვითამაშოთ.

**— თქვენი აზრით, ბაზვა თედეევი გარისკავს სამი ფორვარდით თამაშს?**

— ძნელია სათქმელია, მაგრამ ახლა ჩვენ რთულ მდგომარეობაში ვართ და გამარჯვებები გვჭირდება. ამისთვის შეტევაა საჭირო, თუმც ისიც კარგად ვნახეთ, როგორ შეუტია ორმა ქართველმა „ზილს".

**— „ზილი" კი დაამარცხეთ, მაგრამ ჯერაც სახიფათო ზონაში ხართ. შეძლებთ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას?**

— შევძლებთ, აუცილებლად დავრჩებით პრემიერლიგაში. „ალანიას" შესწევს ამის ძალა. თან ახლა გუნდი ძალიან გაძლიერდა.

**— რუსეთში პირველ სეზონს ატარებთ და ათ თამაშში ორი გოლის გატანა შეძელით, კმაყოფილი ხართ?**

— მეტ-ნაკლებად. ტრავმას რომ ხელი არ შეეშალა, მეტსაც შევძლებდი.

**— „ალანიასთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ?**

— კიდევ ორი წელი ვლადიკავკაზელთა კუთვნილება ვარ.

**— ორიოდ სიტყვა ნაკრებზეც ვთქვათ. ახალგაზრდულში თამაში ასაკის გამო უკვე არ შეგიძლია. ეროვნულ ნაკრებზე არ ფიქრობთ?**

— ჯერჯერობით ეს არარეალურია, თუმც ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ ვითამაშებ და თავს გამოვიჩენ, ალბათ, ეროვნულ ნაკრებშიც გამომიძახებენ. ამისთვის თავს არ დავზოგავ. ახლა მთავარია, ავთამაშდე.

**კახა შალამბერიძე**



გია იმედაძე „ალანიაზე" და საქართველოს ნაკრებზე ფიქრობს

# შავი ზღვიდან კასპიისკენ მიმავალი სიო... ვინ იქნება შემდეგი?

**ორიოდ დღეა** ბოლნისის „სიონს“ ბარგი შეკრა და ლაგოდეხს მიაშურა, სადაც თემურ მახარაძის შეგირდები ორკვირიან შეკრებას გაივლიან. საწვრთნელ შეკრებაზე წასვლამდე კი ბოლნისელებმა ერთი ამხანაგური მატჩიც გამართეს და მუშტაიდში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან 0:1 დამარცხდნენ.

მანამდე კი ქვემოქართლელები ახალ ფეხბურთელთა ძიებაში არიან. ადრე შეგულებულ ახალწვეულთა სიას კიდევ ხუთი ფეხბურთელი შეემატა. ბათუმელი გია ჩხაიძე, მეტალურგელი გენადი კაციაშვილი, რუსთაველი ზაზა ცქიფურიშვილი და კოლხები — კახა დაუშვილი და დავით ოდიკაძე დღეს უკვე „სიონში“ ვარჯიშობენ. ამათგან კახა დაუშვილი ბოლნისელთათვის უცხო კაცი სულაც არაა — ის ადრეც თამაშობდა „სიონში“, წინა სეზონში კი ფოთის „კოლხეთის“ ღირსებას იცავდა. ერთი წელი იბურთავა „კოლხეთში“ დავით ოდიკაძემაც, რომელიც ფოთელებმა შარშან ლანჩხუთის „გურიადან“ გადაიბირეს. ახლა კი ოდიკაძეც, დაუშვილის დარად, ქვემოქართლში „გადასახლდა“.

ზაზა ცქიფურიშვილმა ლამის დაშლილ „გორდას“, ცხადია, წელგამართული „სიონი“ ამჯობინა, ხოლო გენადი კაციაშვილმა მშობლიურ კუთხეს ამერი არჩია. გია ჩხაიძეს კი „ბათუმთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა.

სიახლეა ისიც, რომ გუნდში დაბრუნდა კახა სიდამონიძე. მან საშუასეზონო პერიოდში დატოვა „სიონი“ და კარიერის რუსეთში გაგრძელებას აპირებდა, თუმც, როგორც ჩანს, აქედან არაფერი გამოვიდა. თავდამსხმელი გიორგი ქორიძე კი „ვიტ ჯორჯიას“ დაუბრუნდა.

თემურ მახარაძემ ლაგოდეხში ეს ფეხბურთელები იახლა:

*მეკარეები: თემურ ვოლკოვი, ზურაბ ბათიაშვილი;*

*მცველები: ნუკრი მინდიაშვილი, დავით კარიაული, კახა სიდამონიძე, ზაზა ცქიფურიშვილი, რომეო გოგიტაძე, დავით ბაქრაძე, გიორგი ირემაშვილი;*

*ნახევარმცველები: ბაზვა მოსეშვილი, დავით ხუჭუა, დავით დათვაძე, გენადი კაციაშვილი, გია ჩხაიძე, დავით სვანიძე;*

*თავდამსხმელები: შალვა იხიანი, იური გაბისკირია, კახა დაუშვილი, დავით ოდიკაძე, ზვიად კრავეიშვილი*

ვის დაიტოვებს ამათგან „სიონის“ თავკაცი, ძნელი სათქმელია, თუმც ისიც გავიგეთ, რომ ბოლნისელები კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ეკურკურებიან. სავარაუდოდ, ყველაფერს ლაგოდეხიდან დაბრუნების შემდეგ გაეცემა პასუხი.

**კახა შალამბერიძე**



ნუკრი მარდაშვილის ფოტო

კახა დაუშვილი „სიონს“ დაუბრუნდა

# გორდა მერის კაბინეტში

## მოიტანს იმედი 40 000?

**ჩემპიონატის** დაწყებამდე სამი კვირა დარჩა. ცივილიზებულ საფეხბურთო ქვეყნებში ასეთ დროს ყველაფერი მოგვარებულ-გადაწყვეტილია. გუნდებს ყველანაირი პრობლემა მოხსნილი აქვთ, მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპის გეგმიურ ჩამთავრებაზე და ბოლო სატრანსფერო ოპერაციებზე ფიქრობენ. ვინ იცის, ჩვენთან ასეთი დრო როდის დადგება, სრულფასოვან შეკრება-მომზადებას ვინ ჩივის, ზოგ გუნდს ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას. ასეთია რუსთავის „გორდა“.

„მეფოლადეთა“ გაჭირვებაზე მკითხველს კარგად მოეხსენება, გუნდი უპატრონოდაა მიგდებული, ფეხბურთელებს იმედის ვიწრო ძაფილა შერჩენიათ და სასწაულის მოლოდინში არიან. ზოგიერთმა გორდელმა კი მონახა თავის გზა, მაგრამ უმრავლესობა ჯერაც არ ჩქარობს კლუბის მიტოვებას. მათი დიდსულოვანი ლოდინი პატრიოტული მოსაზრებით სულაც არ აიხსნება. „გორდას“ 18 ათასი ლარი აქვს ფეხბურთელების ვალი და როგორია ოჯახების პატრონი ახალგაზრდა ბიჭებისთვის კუთვნილი გასამრჯელოს დაკარგვა. უფრო ამიტომ იცდიან ფეხბურთელები, თუმც გუნდის ბედითაც არიან დაინტერესებული და მცირე ხავსს ეჭიდებიან.

ბოლო წლებია, სულ უჭირს „გორდას“, მაგრამ ასეთი ჩავარდნა არასდროს ჰქონია. საკონტროლო მატჩებს ვინ ჩივის, გუნდს ხეირიანად არც კი უვარჯიშია. ფეხბურთელთა დავალიანების გასასტუმრებელი თანხის გარდა სულ მცირე 22 ათასი ლარი აქვთ მოსაძიებელი რუსთაველებს. სწორედ ამდენი სჭირდება უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას, 40 ათასი კი დღესდღეობით ზღაპრული და ხელმიუწვდენელი თანხაა გუნდისთვის.

„გორდას“ მცირე იმედი ქალაქის მერ მერაბ ტყეშელაშვილის კაბინეტთან ტრიალებს. ორშაბათს გადაწყდება რუსთაული ფეხბურთის ყოფნა-არყოფნის ბედი და მცირე შანსია იმისა, რომ 15 ივლისს გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები სახელმწიფო ჩინოვნიკის კაბინეტიდან თავაწეულნი გამოვიდნენ...

ცივილიზებულ საფეხბურთო ქვეყნებში გუნდის ბედი მოედანზე წყდება...

**ბაათა ძვანტალიანი**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



ლენარტ იუჰანსონი

# მძიმე დიაგნოზი და მკურნალობის ახალი კურსი

## იუჰანსონმა ლიგას ცოტა დასვენება გამოუწერა

**ჩემპიონთა ლიგის** ფორმატი კრიტიკის საგნად იქცა. მიზეზი: მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემპიონთა ლიგაში თამაშით გადაღლილი ფეხბურთელები შავდებოდნენ, ვერ მოძრაობდნენ და ასე შემდეგ. ამიტომაც, უეფამ გამოაცხადა, რომ 2003-2004 წლების სეზონიდან, ანუ ახლა არა და შემდეგი წლიდან, ლიგას მეორე ჯგუფური ეტაპი აღარ ექნება. ეს გადაწყვეტილება უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და აღმასკომის სხვა წევრებმა ორდღიანი კამათის შემდეგ მიიღეს, რის თაობაზეც გუშინ გაუწყეთ.

ერთი სიტყვით, ახლა არა და შემდეგ სეზონიდან, ლიგაში გასული 32 გუნდი ჩვეულებრივ, რვა ოთხგუნდიან ჯგუფად დაიყოფა, შემდეგ კი, 16 გამარჯვებული ანუ პირველ-მეორე ადგილებზე გასულები პირდაპირ პლეი ოფში აღმოჩნდებიან ანუ მეორე ჯგუფური ეტაპის მაგივრად, მამაპაპურ მერვედფინალებს ვიხილავთ.

მოგეხსენებათ, დღევანდელი ფორმატი სამი სეზონია რაც არსებობს და ფეხბურთელებს წარმოუდგენლად ღლის. ამაზე ბევრი კლუბი ჩიოდა, ყველაზე აქტიურად კი „ბაიერნი". თუმცა, იყვნენ გუნდები, რომელთაც დაძაბული გრაფიკი გულს უხარებდა. ასეთთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი „მანჩესტერ იუნაიტედი" გახლდათ.

ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა: ფორმატის შეკვეცა კლუბებთან, ფეხბურთელებთან, გულშემატკივრებთან და ტელეარხებთან საფუძვლიანი და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთო.

გარდა ამისა, აღმასკომის სხდომაზე 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობაზეც იყო ლაპარაკი, მასპინძლობის სურვილი დღეისთვის ათ ქვეყანას (ზოგს წყვილად, ზოგსაც დამოუკიდებლად) აქვს, რომელთაგან ერთი დეკემბერში უნდა აირჩიონ, ოღონდ, მანამდე კანდიდატთა რაოდენობის ორამდე ან სამამდე დაყვანა სურთ.

კიდევ გადაწყდა, რომ ფიფას მიერ შემოღებულ კონფედერაციათა თასს ევროპა 2005 წელს გერმანიაში უმასპინძლებს და მერე უარს ეტყვის.

და მაინც, მთავარი ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლა გახლდათ. ისევ იუჰანსონი:

„ძნელია, შეეხო შეჯიბრებას, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ არის მიჩნეული, მაგრამ ადამიანი ვალდებულია, მომავალზე იფიქროს. აზრთა სხვადასხვაობა აშკარად შეინიშნებოდა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ფეხბურთის მომავლისთვის გადაწყვეტილების გაბედულად მიღება აუცილებელი იყო."

როგორც ირკვევა, უეფამ ყური ექიმებსაც დაუგდო, რომელთაც ახლახან დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის მაგალითზე ეჭვი კი არ გამოთქვეს, დაასაბუთეს, რომ ტრავმები გადაღლის გამო ძირითადად ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებს ავლებდა მუსრს.

იუჰანსონი: „როგორც ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელმა, უეფამ ღრმად გაანალიზა, როგორც სპორტული, ასევე კომერციულ ასპექტი და მხოლოდ არჩევანი კი არ გააკეთა, სამომავლო პერსპექტივებზეც იფიქრა, თან ორივე მიმართულებით."

ამავე საკითხებს უეფას აღმასკომი 12-13 დეკემბერს დაუბრუნდება, ხოლო 2003 წლის 27 მარტს რომში უეფას კონგრესია დანიშნული.

**ბაჩუნა ძიძია**

## მაკედონია სლოვენიურად

**მაკედონიის** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის ფორმატი შეცვალა. უმაღლეს ლიგაში მოთამაშე თორმეტი გუნდი ორ წრედ თამაშობდა, რის მერეც ზედა ექვსეული ჩემპიონობისთვის, ხოლო ქვედა ექვსეული ლიგაში დარჩენისთვის აგრძელებდა ბრძოლას. ერთი სიტყვით, ჩვენნაირი ფორმატი ჰქონდათ.

ახალი ფორმატის თანახმად, პირველობაში კვლავ თორმეტი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ოღონდ ყოველგვარი გაყოფის გარეშე. ჩემპიონატი სამ წრედ ჩატარდება და ძველებურად ორი უიღბლო დატოვებს უმღლიერესთა რიგებს.

მაკედონიის ნაკრების მწვრთნელი ნიკოლა ოლიევსკი გადაწყვეტილებით კმაყოფილია და აცხადებს, ახალი ფორმატი აშკარად აამაღლებს ქვეყანაში ფეხბურთის დონესო. ეს ოპტიმიზმი, მისივე თქმით, იმითაა განპირობებული, რომ ბოლო ექვს წელიწადში გვარიანად აიწია სლოვენიური ფეხბურთის დონემ, სადაც, მსგავსი ფორმატით თამაშობენ.

**ზურაბ რუხაძეშვილი**

# ღმერთია მოწმე, არ მინდოდა!

## იაპონიამ ზიკო დაიყოლია

**ოთხმოციანი** წლების ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ზიკომ იაპონიის ნაკრების გაწვრთნაზე თანხმობა განაცხადა. შეგახსენებთ, რომ 49 წლის ზიკოს იაპონელებმა თანამდებობა რვა დღის წინ შესთავაზეს.

ზიკოსთვის ამომავალი მზის ქვეყანა უცხო არ არის. 1991 წლიდან იგი ჯეი ლიგაშია, სადაც „კაშიმა ანთლერზში" ერთ ხანს თამაშობდა, ბოლო დრომდე კი ამ გუნდს წვრთნიდა. ახალ თანამდებობაზე მუშაობას ბრაზილიელი 20 ივლისს შეუდგება, აგვისტოში კი ჩინეთის ნაკრებთან ამხანაგურად ითამაშებს. მოგეხსენებათ, ზიკო იაპონიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელის პოსტზე ფრანგ ფილიპ ტრუსიეს შეცვლის.

„იაპონელთა წინადადებამ ძალიან გამაკვირვა, რადგან მწვრთნელად მუშაობის დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნი" — განაცხადა ექს-ვარსკვლავმა პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ ზიკოსა და იაპონიის საერთო ინტერესებზე ადრეც იყო ლაპარაკი, მაგრამ არა მწვრთნელის, არამედ, ნაკრების კოორდინატორის ფუნქციასთან დაკავშირებით.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ მწვრთნელობა ყველაზე ნაკლებად მინდოდა, მაგრამ ნათქვამია, არასდროს თქვა არასდროს" — დასძინა ზიკომ.

იაპონიისა და ჩინეთის ნაკრებთა მომავალ ამხანაგურ თამაშზე უკვე ვთქვით. ისღა დავძინოთ, რომ ეს თამაში 22 აგვისტოს პეკინში გაიმართება, ხოლო ნოემბერში, სავარაუდოდ, იაპონია არგენტინას შეხვდება.

ზიკოს თქმით, მის მომავალ მუშაობას ყველაზე მეტად ხელს, იაპონიის ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ცუდი თანამშრომლობა შეუშლის. მან „კაშიმაში" მუშაობის დროინდელი ამბავი გაიხსენა:

„ერთხელ, აზიის თასის ფინალში სათამაშოდ ჩვენგან რვა ფეხბურთელი გამოიძახეს და ამის გამო ჩემპიონის ტიტული დავკარგეთ."

შემდეგ, ბრაზილიელმა დასძინა, რომ მისი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, იაპონიის ნაკრების 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა იქნება:

„ფაქტია, აზიის სხვა ქვეყნები ყველა ღონეს იხმარენ, რათა კონტინენტზე ჩვენი და კორეელების თვალსაჩინო უპირატესობა აღარ იყოს და ამიტომ, რთული შესარჩევი ეტაპი გველის."

დაბოლოს, საუბრის თემა იაპონური და კორეული ფეხბურთის სამხრეთ ამერიკულთან მსგავსებას შეეხო:



ზიკომ იაპონია ჩაიბარა

„იაპონელები და ბრაზილიელები ფეხბურთისადმი ერთი და იმავე დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ჩემი ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აქ როგორც წესი, ბრაზილიელ ან არგენტინელ მწვრთნელებს იწვევენ."

**ბაჩუნა ძიძია**



დევიდ ბექჰემი ტრავმამ, დაღლამ და ბრაზილიამ წააქციეს

# ინგლისელები კალენდარს ცვლიან

**ამ თვის ბოლოს** პრემიერლიგის კლუბების თავკაცები შეიკრიბებიან და ერთადერთ საკითხზე იმსჯელებენ: დაისვენონ თუ არა გუნდებმა ზამთარში, ანუ ჰქონდეს თუ არა ინგლისელ ფეხბურთელს ისეთივე ადამიანური დასვენება შობის არდადეგებზე, როგორიც აქვს გერმანელს, ესპანელს თუ იტალიელს.

ხომ ცნობილია, რომ ინგლისელები ყველაზე მეტს სწორედ შობის არდადეგების დღეებში თამაშობენ და შობის ხუთმატჩა სიგიჟეს მხოლოდ ერთკვირიან დასვენებას მიაყოლებენ ხოლმე.

„არსენალის" თავმჯდომარე და ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი თვლის, რომ პრემიერლიგას პირდაპირ დახატავდა სამკვირიანი შესვენება, რომელიც პირველი იანვრიდან დაიწყებოდა.

დინი ამბობს, რომ ასეთი შესვენების დროს პრემიერლიგის ფეხბურთელები თავიანთ ზარბაზნებს გულდინჯად დატენიდნენ, ხალხი კი მეტი ინტერესით შეხედავდა დაბალი დივიზიონების თამაშებს, რაც ძალიან გამოადგებოდათ ელიტაში ვერმოხვედრილ კლუბებს.

თუკი პრემიერლიგის კლუბების ბოსები შესვენების საკითხზე შეთანხმდებიან, შემდეგ პროექტი კლუბებში გაირჩევა და თუკი იქიდანაც თანხმობა წამოვა, მაშინ სამკვირიანი შესვენება მოხერხდება.

სადავო ამ შემთხვევაში ის არის, რომ სამკვირიანი დასვენება სხვა სიხშირით მოითხოვს თამაშს, დასვენების ხარჯზე მოიმატებს შუა კვირაში გასამართი თამაშების რაოდენობა, რაც პრემიერლიგის ისედაც თავისებურ განრიგს კიდევ უფრო თავისებურს გახდის.

სხვანაირად კი, სეზონი ერთი კვირით ადრე უნდა დაიწყოს და ერთი კვირით გვიან უნდა დამთავრდეს.

ნაკრების მწვრთნელ, სვენ გორან ერიკსონსაც დაუჩივლია, ამ დაუსვენებლობამ გვარიანად იმოქმედა ჩვენზეო.

მოკლედ, კუნძულელები ევროპული კალენდრის მორგებას ცდილობენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

იყიდება
ვაკეში, კეკელიძეზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა გარაჟით.
ტ: 29-13-75; 899 11-64-46





# სექსის უდიდესი ნაჭერი

ბუნდესნაკრების ყველაზე ვნებიანი ბიჭი მიხაელ ბალაკია — ასეთი პატივი 25 წლის შავტუხა ბაიერნელს გერმანულ ტელეარხ DSK-სა და ვებგვერდ SPORT 1-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ერგო.

ვინ არის გერმანიის ეროვნული გუნდის ყველაზე სექსუალური ფეხბურთელი? სწორედ ასეთნაირად დასმულ შეკითხვას გამოეხმაურა ხალხი და მიხაელ ბალაკს ხმათა 40 პროცენტი ხვდა წილად. დორტმუნდელ მცველ კრისტოფ მეცელდერს 32,7 პროცენტმა მისცა ხმა, თავტვლიპა კარსტენ იანკერსს 11,4 პროცენტი აკმარეს, ხოლო მეოთხე სექსუალური ადგილი და 10,9 პროცენტი ოლივერ კანს დარჩა.

სექსის ყველაზე დიდ გერმანულ ნაჭერს კი მუნდიალის ფინალში ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო არ უთამაშია.

„განა ვინმე იფიქრებდა, რომ ჩემპიონატზე ასე შთამბეჭდავად გამოვიდოდით? მაგრამ მსურს, მთელ ამ ამბავს ერთი რამ დავამატო — სათადარიგოთა სკამზე გატარებული ფინალები, საჩემო არ არის! „ბილდმა" ფინალის წინ ბედნიერი პფენინგიანი გადმომცა, რომელიც მარჯვენა ჯიბეში მედო და CROSSED MY FINGERS („ნიჩურტას" ვაკეთებდი) ჩვენი ბიჭებისთვის, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი გამარჯვებისთვის. ჩემი აზრით , ბიჭები იმ დღეს ბრაზილიაზე უკეთესები იყვნენ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მხოლოდ უკეთესი გუნდი კი არ ვართ, არამედ, ნამდვილი საფეხბურთო ნიჭიც გაგვაჩნია. ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი თაობა უნიჭოა. მაგრამ ბერნდ შნაიდერმა უფრო ბრაზილიურად ითამაშა, ვიდრე ნალდმა ბრაზილიელებმა" — აი, ასეთი გახლავთ მიხაელ ბალაკის საფინალო განცდები.

რადგან გერმანელებმა ისე ჩათვალეს, რომ ბალაკის მზერა ყველაზე უფრო მაგრად ატანს ძვალსა და რბილში, ჩვენ, ცხადია, სათქმელი აღარაფერი გვაქვს. ამიტომ თვით მიხაელ ბალაკს მოვუსმინოთ, საკუთარ თავზე რომ ჰყვება და ენამჭევრობს.

**დავით თავართქილაძე**

## ბალაკურები

ამერიკა წალკოტი ქვეყანაა. მე უკვე ოთხჯერ ვარ იქ ნამყოფი და შემიძლია გირჩიოთ შტატებში მოგზაურობა. ბევრ საოცარ რამეს შეიცნობთ.

⚽ ⚽ ⚽

ლუდი არასდროს მყვარებია. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სპორტსმენობა და ზედმიწევნით მოწესრიგებულობაა ამის მიზეზი, ცდებით. უბრალოდ, ლუდის გემო არ მომწონს.

⚽ ⚽ ⚽

ქემნიცში ჩემი ძველი სახლია. სანამ მშობლები და მეგობრები იქ ცხოვრობენ, ქემნიცს ვერასდროს შეველევი. მაგრამ სამწუხაროდ, იქაურობის გახსენებას მხოლოდ ტელეფონის საშუალებით თუ ვახერხებ. არ მაქვს იმის დრო, რომ ხშირ-ხშირად ჩავიდე მშობლიურ ქალაქში.

⚽ ⚽ ⚽

გერმანიის გაერთიანების დროს 14 წლის ვიყავი, მაგრამ საკმაოდ კარგად მესმოდა თუ რა ხდებოდა. იმ შთაბეჭდილებებით ახლაც ანთებული ვარ. ათასობით ადამიანი ქუჩებში გამოვიდა, რადგან პოლიტიკური ცვლილებები მოეხდინათ. ჩემი აზრით, გერმანიის გაერთიანებით ჩვენ მხოლოდ მოვიგეთ. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ახალი ჰორიზონტები გაგვეხსნა და უფრო მეტ თავისუფლებას მივაღწიეთ.

⚽ ⚽ ⚽

ძალიან მომწონს კალათბურთი, ხოლო გოლფის თამაში ადრეც მიყვარდა და ახლაც, მოცალეობის ჟამს, გოლფით შევიქცევ ხოლმე თავს. მიუხედავად ამისა, ჩემი საგოლფო ოსტატობა იმით იზომება, რომ ყვანჯის ჭნევას სერიოზული ტრავმის გარეშე ვამთავრებ.

⚽ ⚽ ⚽

ქორწინებას არ განვიხილავ, როგორც აუცილებლობას. ვფიქრობ, ქორწინების სერთიფიკატის გარეშეც შეგიძლია, ძალიან ბედნიერი იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დავქორწინდები.

⚽ ⚽ ⚽

კარნავალებზე არ ვგიჟდები და სულელიც არ ვარ. დიუსელდორფთან და კიოლნთან ახლოს კი ვცხოვრობდი, მაგრამ ოჯახურ კარნავალებზე არ ვლრეობდი.

⚽ ⚽ ⚽

დიდად ვაფასებ კარგ ჩაცმულობას და მაღაზიებში ხეტიალიც მიყვარს — თუ დრო ამის საშუალებას მაძლევს.

⚽ ⚽ ⚽

სამწუხაროდ, საჭმლის მომზადება არ მეხერხება. ამიტომ მიყვარს ჩემს საყვარელ იტალიურ რესტორანში სიარული და ჩემი გელფრენდი სიმონას მიერ მომზადებული კერძები.

⚽ ⚽ ⚽

ერთი ნახვით შეყვარება — ასე აღვწერდი ჩემს პირველ შეხვედრას სიმონასთან. მყისვე ვიგრძენი, რომ შეყვარებული ვიყავი — ეს კაიზერსლაუტერნის ერთ-ერთ კაფეში მოხდა. მიუხედავად ამისა, სიმონამ ნახევარი წელი მაწუწუნა.

⚽ ⚽ ⚽

პირად ცხოვრებაში ნერვოზი რაა, არ ვიცი. ოღონდ ვგაა, მატჩის წინ მოედანზე გასვლამდე ვგრძნობ, თითქოს მუცელში პეპლები მყავს.

⚽ ⚽ ⚽

საკმაოდ ბევრ წერილს ვიღებ ფანებისგან, მაგრამ კვლავ მსიამოვნებს თითოეული წერილის წაკითხვა. დიდი გრძნობაა, როცა 13 წლის ბიჭი გეუბნება, ჩემთვის სამაგალითო ხარო.

⚽ ⚽ ⚽

მაკარონი, მაკარონი და კვლავ მაკარონი. ყველა შესაძლო ვარიანტში ის ჩემი საყვარელი საჭმელია. მაკარონი მხოლოდ გემრიელი როდია, ჯანმრთელობისთვისაც კარგია.

⚽ ⚽ ⚽

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიმონას ურჩევნია რაიმე რომანტიული სიტყვები მოისმინოს ჩემგან, მე პრაქტიკულად უძლური ვარ რომანტიკული ტიპის ადამიანი ვიყო.

⚽ ⚽ ⚽

როცა A ხარისხის ატესტატი ავიღე, უნდა გადამეწყვიტა, უნივერსიტეტში შევსულიყავი თუ ფეხბურთელობა ამერჩია. არ ვნანობ, ფეხბურთელის კარიერა რომ ვამჯობინე სწავლას. თუმც უნივერსიტეტში სიარულითაც კმაყოფილი ვიქნებოდი — შესაძლოა, სპორტული მენეჯმენტის განხრით ვისწავლო.

⚽ ⚽ ⚽

ცხოველები ძალიან მიყვარს და ძალიან ცუდია, რომ მხოლოდ ჩემი ძაღლისთვის თუ ვახერხებ დროის გამონახვას. როცა განტვირთვა მჭირდება, „სანჩოს" ღვედს ვუკეთებ და სასეირნოდ გამყავს. ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ სახლში უფრო მეტი ოთხფეხა მეყოლება.

⚽ ⚽ ⚽

ფეხბურთით ისე ვარ დაკავებული, რომ არ შემიძლია დრო გამოვძებნო, რათა ჩემს მომავალზე ვიფიქრო.

## ამბავი მამისა და ძისა
### მეორედ მოსვლა ვიკმაროთო

**კაცობრიობის** ერთი ნაწილი ჯერაც მეორედ მოსვლას ელის, ინგლისურ ქალაქ მიდლსბროში კი ამ დროს მესამედ მოსვლა ჩაიშალა. მიზეზი მეტად პროზაულია — მომსვლელი და დამხვდურები ანაზღაურებაზე ვერ შეთანხმდნენ.

არადა, მადრიდის „ატლეტიკო" ყაბულს იყო, მსოფლიოს ჩემპიონი ჟუნინიო 5,5 მილიონ გირვანქად პრემიერლიგურ „მიდლსბროში" გაეშვა. საქმე თავად ნახევარმცველის ხელფასზე მიდგა და... გარიგებაც არ შედგა. 29 წლის ბრაზილიელის მამამ და იმავდროულად აგენტმა ოსვალდო ჟიროლდომ ეს ამგვარად ახსნა: „მეგობრულად ვისაუბრეთ, მაგრამ ხელი ხელს ვერ დავკარით. ეს ბიზნესია და უნდა გაგვიგოთ — „მიდლსბროში" ხელფასის ლიმიტი არსებობს, ჩვენ კი მეტს ვითხოვდით."

მეტი რაღა, კვირაში 35 ათას გირვანქას ურიგო ჯამაგირი სულაც არ ეთქმის, მაგრამ, აქაოდა, მსოფლიოს ჩემპიონი გახლავართო, ჟუნინიომ ლამის მშობლიურ კლუბში დაბრუნება იუარა: თუ გახსოვთ, 1996-97 სეზონში ის სწორედ ტისსაიდურ გუნდში თამაშობდა, თუმცა პირველ დივიზიონში გავარდნისგან ვერ იხსნა; მერე, ორი წლის შემდეგ, „მიდლსბრომ" მადრიდელებისგან ითხოვა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ვერაფრით დაეხმარა.

„მიდლსბროს" მწვრთნელი (ერთ დროს ალექს ფერგიუსონის თანაშემწე „მანჩესტერ იუნაიტედში") სტივ მაკლარენი გულდაწყვეტილია. სამაგიეროდ, იმედი ჩაესახა... კევინ კიგანს, „მანჩესტერ სიტის" თავკაცს, რომელსაც ჟუნინიოს ყიდვა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, „ნიუკასლს" რომ წვრთნიდა. ჰოდა, შანსიც მიეცა. რა გამოვა ამ საქმიდან, მალე შევიტყობთ.

**გიგა ძოგახიძე**



ჟუნინიოს 35 ათასი სასაცილოდ არ ეყო

## ნადი, ლივერპულში იჩხუბე
### ლიდსი ლი ბოიერს შეელია

**ტერი ვენეიბლზის** ხელში „ლიდსი" პირველ ფეხბურთელს ეთხოვება. ლი ბოიერი თითქმის ლივერპულელია. თითქმის იმიტომ, რომ ჯერჯერობით ბოიერსა და მერსისაიდელთა უფროსობას ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე არ ულაპარაკიათ. ეს სავარაუდოდ, მომავალ კვირაში მოხდება. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია ტრანსფერის ღირებულება. „ლივერპული", „ლიდსს" 9 მილიონ გირვანქას ჩაუთვლის.

აღსანიშნავია, რომ „ლიდსთან" ბოიერის კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში სრულდებოდა, თუმც თავად ფეხბურთელმა აღარ ისურვა მისი გაგრძელება. „ლიდსიც", ვისი ფინანსური პრობლემების შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, ჩხუბისთავ ნახევარმცველს საკმაოდ იოლად შეელია.

„ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმა თქვა, ფეხბურთელმა დარჩენა თავად არ ინდომა და სხვა რა გზა გვქონდაო.

„ლივერპულის" ბანაკიდან კი ბოიერის ტრანსფერს ფილ ტომპსონი, კლუბის მეორე მწვრთნელი გამოეხმაურა.

— ბოიერი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელსაც ვეძებდით. მას მეგოლის ალღო აქვს და უმაღლესი კლასის მოთამაშეა. ვფიქრობ, ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი დავიმატეთ — განაცხადა ტომპსონმა.

**სერგი ძორიძე**

## იური ბოლტონისთვის

**საფრანგეთის** ნაკრების 34 წლის ნახევარმცველმა იური ჯორკაეფმა პრემიერლიგიდან გავარდნას გადარჩენილ „ბოლტონთან" კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი. ჯორკაეფი წლეულს თებერვალში გერმანული „კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა „ბოლტონში" და 12 მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, თუმცა თავისი ეშმაკური პასებით უფრო მეტი სხვებს გაატანინა და გუნდის ელიტაში დარჩენაშიც ლომის წილი დაიდო.

კლუბის ხელმძღვანელებს სჯერათ, რომ 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი, ასაკის მიუხედავად მათ კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანს.

**სოლომონ გულისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხოაკინს (№22) მთელი ქვეყანა შეჰყურებს



„ვილიარეალმა“, მსოფლიოს ჩემპიონი ჯუნინიო და კლებერსონს (შუაში) მიაკითხა



სოშო — პსჟ
ლანსი — სტრასბური
ბასტია — ტრუა

**XXXIII ტური. 12 აპრილი**

მეცი — ოსერი
გენგამი — ბასტია
პსჟ — ლანსი
ბორდო — ლიონი
ტრუა — მარსელი
აიაჩო — მონაკო
სტრასბური — ნანტი
ლე ავრი — რენი
ლილი — სედანი
მონპელიე — სოშო

**XXXIV ტური. 19 აპრილი**

აიაჩო — ბორდო
სოშო — გენგამი
ოსერი — ლე ავრი
ლიონი — ლილი
ლანსი — მარსელი
ბასტია — მონპელიე
რენი — მეცი
ნანტი — პსჟ
მონაკო — სტრასბური
სედანი — ტრუა

**XXXV ტური. 3 მაისი**

ლე ავრი — აიაჩო
ბორდო — ოსერი
მარსელი — ბასტია
გენგამი — ლანსი
სტრასბური — ლიონი
პსჟ — მონაკო
მონპელიე — ნანტი
ლილი — რენი
მეცი — სედანი
ტრუა — სოშო

**XXXVI ტური. 10 მაისი**

სედანი — ბასტია
ნანტი — გენგამი
ბორდო — ლე ავრი
ოსერი — ლილი
სოშო — მარსელი
მონაკო — მონპელიე
აიაჩო — მეცი
ლიონი — პსჟ
რენი — სტრასბური
ლანსი — ტრუა

**XXXVII ტური. 24 მაისი**

ბასტია — სოშო
ლილი — აიაჩო
სტრასბური — ოსერი
მეცი — ბორდო
ლე ავრი — ლანსი
მონპელიე — ლიონი
გენგამი — მონაკო
ტრუა — ნანტი
პსჟ — რენი
მარსელი — სედანი

**XXXVIII ტური. 4 ივნისი**

მონაკო — ტრუა
ლანსი — ბასტია
ლიონი — გენგამი
ლე ავრი — მეცი
ნანტი — მარსელი
ოსერი — პსჟ
სოშო — სედანი
აიაჩო — სტრასბური
რენი — მონპელიე
ბორდო — ლილი

ქართველ სპორტსმენთა შორის ყველაზე ბედნიერი დღესდღეობით, ალბათ, ნიკა ცქიტიშვილია. იგი ახლა დენვერშია და დღე-დღეზე „დენვერ ნაგიტსთან" კონტრაქტის გაფორმებას ელის. „დენვერი" ნბა-ს საშუალოზე სუსტი გუნდია, ასეთებს კი მთავარ იმედად დრაფტისეული შევსება დარჩენიათ. ასე რომ, მე-5 ნომრად აყვანილი ქართველი დიდი ყურადღების ცენტრშია. ამერიკელებს ნიკას შესახებ ყველაფერი აინტერესებთ — პირველი მწვრთნელიდან დაწყებული, საყვარელი კერძით დამთავრებული. ამას ადასტურებს „დენვერ ნაგიტსის" ვებ-გვერდზე გუშინ გამოქვეყნებული ინტერვიუც... ჟურნალისტ ჯონათან გოლდშტეინს სურს, ამერიკელებს ახლოს გააცნოს „დენვერის" ქართველი იმედი „სკიტა".



ნიკა ცქიტიშვილი „მედისონ სკვერ გარდენში" დედასთან, მენეჯერ მარკ ფლეიშერთან და მის მეუღლესთან ერთად

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

**— შეგიძლიათ თუ არა, თქვენი გვარი დაგვიმარცვლოთ ისე, რომ ყველამ სწორად გაიგოს?**

— ნი-კოლ-უს სკიდ-იშ-ვილ-ი.

**— თქვენ საქართველოს რესპუბლიკიდან ხართ. გსმენიათ თუ არა ამერიკის შტატ ჯორჯიაზე?**

— როგორ არა. ყველას, ვინც მეკითხება, საიდან ხარო და საქართველოდან-მეთქი, ვპასუხობ, ამერიკელი ვგონივარ. დაკონკრეტება მიწევს, ჯორჯიის შტატიდან კი არა, საქართველოს რესპუბლიკიდან რომ ვარ.

**— პირველად ხართ ამერიკაში?**

— დიახ, 23 ივნისს ნიუ იორკში ჩავედი და ექვსი დღე დავრჩი. დრაფტის მეორე დღეს მე, მარკუს კემბი და ნენე ილარიო დენვერში ჩამოვედით.

**— რას შეადარებთ ნიუ იორკს?**

— ნიუ იორკი მხოლოდ ტელევიზორით და ფილმებით ვიცოდი, მაგრამ როცა საკუთარი თვალით ვნახე, დაუჯერებელი იყო. იგი სხვა პლანეტაა, თუმც ცხოვრებას დენვერში ვამჯობინებ. აქ გაცილებით სიწყნარეა, ლამაზი მთები და ბუნება. ნიუ იორკი ძალიან გადატვირთული და საქმიანი ქალაქია. უამრავი ხალხი, მანქანები და მათი მოძრაობა — 15 წუთში დაიღლები.

**— კალათბურთი საქართველოში პოპულარულია?**

— არც ისე. პერსპექტიული მოთამაშეები კი არიან, მაგრამ საკალათბურთო სკოლების ნაკლებობაა. ვისაც კარგი მონაცემები აქვს, ევროპაში მიდის სათამაშოდ.

**— თქვენ როგორ ისწავლეთ კალათბურთის თამაში?**

— მე გამიმართლა, თავიდანვე ძალიან კარგი მწვრთნელის ხელში აღმოვჩნდი. იგი ყოველდღე ჩემთან იყო, ძმასავით, მამასავით მეპყრობოდა. ვარჯიშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, გადაყოლილი იყო ჩემზე.

**— აქ ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ თქვენ ბალეტზე დადიოდით. მართალია?**

— ის, რაზეც მე დავდიოდი, არ იყო ბალეტი, მისგან დიდად განსხვავდებოდა. მოცეკვავე კი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ ჩემი ქვეყნის ეროვნულ ცეკვებს ვასრულებდი. ეს სულ სხვაა, მებრძოლთა ცეკვაა. საქართველოში ძალიან პოპულარულია და ვინც ქართულს ცეკვავს, კარგ ვაჟკაცადაც ითვლება. ცეკვაზე ექვსიდან თორმეტ წლამდე დავდიოდი. მრავალი ილეთი და მოძრაობა კალათბურთში ძალიან დამეხმარა.

**— თქვენ იტალიაში „დენვერის" ყოფილ მწვრთნელ მაიკ დანტონისთან ვარჯიშობდით. რას გეუბნებოდათ ნბა-ზე ანაც როგორ გამზადებდათ მისთვის?**

— დანტონისგან ბევრი რამ ვისწავლე, ნბა-ს გუნდების შესახებ ბევრს მელაპარაკებოდა. მან კარგად იცოდა, თუ რას აქცევენ ამერიკელები ყურადღებას და ცდილობდა, ამ პრინციპით მოვემზადებინე. ყოველდღე, დღეში ორჯერ ბეჯითად მავარჯიშებდა, დიდი მადლობელი ვარ ამ კაცის. ყველაფერთან ერთად დანტონი ბრწყინვალე პიროვნებაა.

**— როგორ ფიქრობთ, თამაშის რომელ კომპონენტთა დახვეწა დაგჭირდებათ ნბა-ში სრულყოფილად სათამაშოდ?**

— ყველაფრის. თუ ნბა-ში გინდა თამაში, სუსტი წერტილი არ უნდა გქონდეს. ვფიქრობ, ამ მხრივ საკმაოდ მაქვს სამუშაო.

**— საქართველოში თამაშისას, ანაც უფრო ადრე თუ იცოდით ნბა-ს შესახებ?**

— როგორ არა, ყოველთვის ვყიდულობდი კასეტებს — ფილმებს ჯორდანის, შაკილის შესახებ. ძალიან მიყვარდა და მიყვარს ნბა. აქ თამაშზე მუდამ ვოცნებობდი და ახლაც დიდი სურვილი მაქვს.

**— ვინ იყო თქვენი საყვარელი მოთამაშე?**

— ჩემი საყვარელი კალათბურთელი კევინ გარნეტია. იგი უძლიერესია, ასევე კობი ბრაიანტი.

**— გინახავთ თუ არა მისი თამაში და თუ მიბაძავ მას?**

— ცოცხლად არ მინახავს, მაგრამ მისნაირად თამაშს ვცდილობ (იცინის). იმედი მაქვს, რომ ამას მივაღწევ.

**— ყველაზე ძალიან რა მოგეწონათ ამერიკაში? კერძებს ვგულისხმობ...**

— მექსიკური სამზარეულო მომეწონა. სპიცი ძალიან გემრიელია და ყოველდღე ვჭამ.

**— სულ ამას ხომ არ უკვეთავთ?**

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ იმ კერძის სახელი დამავიწყდა, ტორტილას იღებენ და მასში ათას რამეს ახვევენ.

**— ფაჯიტა?**

— არა, სხვა რაღაცას ეძახიან.

**— ბურიტო?**

— კი ეგაა. თქვენც ხომ მოგწონთ ბურიტო...

**— არის ისეთი რამ, რაც აქ გაკლიათ?**

— არაფერი, მხოლოდ ჩემი ოჯახი მენატრება.

**— დენვერში არავინაა თქვენი ოჯახის წევრებიდან?**

— არა. დედაჩემსა და უმცროს ძმას ველოდები. ვიზას გააკეთებენ და ორიოდ კვირაში აქ იქნებიან.

**— რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?**

— მოიცათ... რუსული, სლოვენიური, სერბული, ინგლისური და, რაღა თქმა უნდა, ქართული.

**— „დენვერის" ფანებს რას ეტყოდით?**

— უზომოდ გახარებული ვარ აქ ყოფნით. გუნდი ძალიან მომწონს, ყველაფერი მშვენიერადაა. ლამაზი ქალაქი გაქვთ, ხალხი კი მართლაც მეგობრულია. მათთან ურთიერთობა არ გამიძნელდება, უკვე ათამდე მეგობარი შევიძინე. იმედი მაქვს, დენვერის ფანებს სათითაოდ გავიცნობ.

ორიოდ დღეც და ნიკა ცქიტიშვილი ნაღდი დენვერელი შეიქნება. 211-სანტიმეტრიანი ქართველი ფორვარდი 26 ივნისს დრაფტზე მეხუთე ნომრად აიყვანა „დენვერ ნაგიტსმა", რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან საქმის დაჭერის და კონტრაქტის დადების ექსკლუზიური უფლება დაისაკუთრა. ახლა კი, როცა იქაურებმა ჩვენებური საფუძვლიანად აათვალ-ჩაათვალიერეს, თავის გემოზე ავარჯიშეს, ერთი სიტყვით, საბოლოოდ დაადგინეს მისი ავკარგიანობა, ჯერი კონტრაქტზეც მიდგა.

# ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ: ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ, ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘᲪ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲔᲢᲝᲜᲘᲪ

## ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲛᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲛ ᲘᲙᲘᲗᲮᲝᲡ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** მოსალოდნელია, „დენვერი" ცქიტიშვილს ახალბედებისთვის სტანდარტულ, სამწლიან კონტრაქტს დაუდებს. უცნობია სხვა პირობები, თუმც ცქიტიშვილის აგენტი მარკ ფლეიშერი ამბობს, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველა მხარე კმაყოფილი ჩანს.

უკმაყოფილებას არ გამოთქვამს ცქიტიშვილის ყოფილი კლუბი ტრევიზოს „ბენეტონიც", რომელსაც კონტრაქტის თანახმად ჩვენებური კიდევ ერთი წლით ეკუთვნის. „დენვერი" თანახმაა, იტალიურ კლუბს ამ კონტრაქტის გამოსასყიდი თანხა, 350 ათასი დოლარი გადაუხადოს.

თუკი ჩვენებურის და ნბა-ს კლუბის ერთმანეთთან ხელშეკრულებით დაკავშირება არ გაჯანჯლდა, „დენვერი" ცქიტიშვილს ათამაშებს ზაფხულის ერთ-ერთ ლიგაში, რომელსაც 20 ივლისიდან უმასპინძლებს ქალაქ დენვერის უახლოესი მეზობელი დიდქალაქი სოლტ ლეიკ სიტი. მსგავსი ტურნირები უხვად იმართება ამერიკაში და ნბა-ს კლუბებიც ხალისით მონაწილეობენ მასში. ამ ზაფხულის ლიგებში ვერ ნახავთ შაკილ ონილს ან ალენ აივერსონს, რადგან გუნდები იქ შეთხელებული შემადგენლობებით იკრიბებიან და გამოსაცდელად იმატებენ ისეთ ბიჭებს, რომლებსაც დრაფტში ბედმა არ გაუღიმათ.

ჩვენ კი ვთქვათ, რომ ნიკასთვის მისწრება იქნება იქ წათამაშება. თავის გუნდში გაშინაურდება, თან ამერიკულ კალათბურთსაც დააჭაშნიკებს.

ცქიტიშვილისგან განსხვავებით, „დენვერს" პრობლემები შეექმნა მეორე ნადრაფტალ ახალწვეულ ბრაზილიელ ნენე ილარიოსთან. მისი კლუბი „ვასკუ და გამა" ნიკას „ბენეტონივით" მოწყალე და გამგებიანი არ აღმოჩნდა და ილარიოს კონტრაქტის პირობების შესრულებას, ისე იგი, ბრაზილიაში თამაშს ხთხოვს.

„დენვერი" ახალწვეულებთან ფორმალობათა მოთავებას ცდილობს, არც სხვა კლუბები კარგავენ დროს და ნადრაფტალ ბიჭებს კონტრაქტებით აბამენ, რომელთა უმრავლესობა სამწლიანია. დრაფტის პირველ წრეში აყვანილთა თითქმის ნახევარმა უკვე თავისი ხელმოწერით დაუმტკიცა სამწლიანი ერთგულება ამყვან გუნდს.

ცერად მისდის საქმე 226-სანტიმეტრიანი ჩინელი ჟირაფის იაო მინგის ამყვან „ჰიუსტონ როკეტსს". ჩინელებმა რაღაც შარი მოსდეს მილიარდნახევრიან ერში ყველაზე მაღალ და ვინძლო მსოფლიოში სადღეისოდ ყველაზე ცნობილ ჩინელს და ამერიკაში არ უშვებენ. „ჰიუსტონს" ისღა დარჩენია, მოთმინებით ელოდოს თავის მაღალ იმედს. ამასობაში კი კლუბის ხელმძღვანელებმა კონტრაქტი დაუდეს სხვა ნადრაფტალ რჩეულს, მე-15 ნომრად აყვანილ სლოვენიელ ბოსტიან ნახბარს, რომელიც „ბენეტონში" ცქიტიშვილის თანაგუნდელი იყო.

„ჩიკაგომ" ხელშეკრულება გაუფორმა დრაფტის მეორე ნომერ გამთამაშებელ ჯეი უილიამსს. საქმე არ გააჯანჯლა არც „გოლდენ სტეიტმა" და ოფიციალურად ჩარიცხა გუნდში დრაფტის მესამე ნომერი მაიკ დანლივი, ცნობილი ნბა-ელი მწვრთნელის მაიკ დანლივის ვაჟკაცი. სხვათა შორის, დანლივიცა და უილიამსიც დიუკის უნივერსიტეტში თანაგუნდელები იყვნენ. ახლა ისინი იქადიან, ძმაკაცები კი ვართ, მაგრამ მოედანზე ერთმანეთს ისე დავჭამთ, როგორც ლარი ბერდი და მეჯიქ ჯონსონიო. ხეირიც ენახოთ...

უქმად არაა მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონ ვიზარდსი". ჯორდანმა ბრძანა, წინა სეზონში ტრავმა მივიღე, მაგრამ არ იფიქროთ, მომდევნოში ველარ მნახავთო და ხალხი დაამშვიდა, ჩემი ცხოვრების მინიმუმ ერთ წელსაც დავხარჯავ ნბა-ს მოედნებზეო. ახლა „ვაშინგტონის" ქომაგებს კმაყოფილების სხვა საბაბიც აქვთ. „ვიზარდსმა" მინიმუმ სამსამი წლით თავისთან დაიგულა პერსპექტიული ბიჭები — დრაფტის მე-11 ნომერი ჯარედ ჯეფრისი და მე-17 ნომერი ხუან დიქსონი. ორივენი ბოლო სტუდენტური სეზონის ფინალისტი გუნდების — „ინდიანასა" და „მერილენდის" ყოფილი ლიდერები არიან და გასაკვირია, როგორ ვერ მოხვდნენ დრაფტის პირველ ათ რჩეულს შორის.

სხვაფრივ კი, „ნიუ იორკმა" კონტრაქტი დაუდო დრაფტის 25-ე ნომერ ფრენკ უილიამს, ხოლო „ატლანტამ" პირველი წრის ბოლო, 28-ე არჩევანი დან დიკაუს. დიკაუ გონზაგას უნივერსიტეტიდანაა, იმ სასწავლებლიდან, რომელმაც ნბა-ს და მსოფლიოს კალათბურთს მარგალიტი ჯონ სტოქტონი აჩუქა. სტოქტონის დარად დიკაუც გამთამაშებელია.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ**

# ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲘᲭᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ, ᲐᲚᲔᲜ

## ᲐᲘᲕᲔᲠᲡᲝᲜᲡ 54 ᲬᲔᲚᲘ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

**ᲐᲚᲔᲜ ᲐᲘᲕᲔᲠᲡᲝᲜᲡ** 54-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ეს იმ შემთხვევაში, თუ ყველა, თოთხმეტივე ბრალდება დაუმტკიცდა. აქედან ოთხი სისხლის სამართლის დანაშაულია, კერძოდ, სხვის საცხოვრებელში შეჭრა, ფიზიკური შეურაცხყოფა, ტერორისტული ძალადობა და იარაღით თავდასხმა.

დიდ შარში შეყო თავი ნბა-ს ერთ-ერთმა უკაშკაშესმა ვარსკვლავმა, როცა იარაღით ხელში ღამის სამ საათზე ცოლს დაუწყო ძებნა და გზადაგზა მავანთ შინ იარაღით მიუხდა.

ჩვენ გვაქვს საკმარისი სამხილი, რათა ალენ აივერსონი გავასამართლოთ და გავასამართლებთ კიდეც, როგორც კი მისი ადვოკატი საშვებულებო ევროკრუიზიდან დაბრუნდება. მანამდე კი აივერსონს მისჯილი აქვს შინაპატიმრობა და როგორც კი მას სახლის გარეთ დავლანდავთ, იმ წამსვე დავაპატიმრებთო, დაახლოებით ასეთი რამ უთქვამს, თანაც გოროზი სახით, დიდქალაქ ფილადელფიის პოლიციის კომისარ სილვესტერ ჯონსონს.

გაირკვა აივერსონის საქმის ყველა დეტალიც. კალათბურთელს და მის ცოლ ტავანა ტერნერს ამა თვის პირველ რიცხვში ოჯახური ჩხუბი მოსვლიათ, მაგაკცი, მოგეხსენებათ, მეტი ჯანის პატრონია, უძალია და ცოლი შიშველი გამოუგდია სახლიდან. ორი დღის შემდეგ აივერსონმა საკუთარი ნახევრის მოძებნა გადაწყვიტა და ბიძასთან, გრეგორი აივერსონთან ერთად მერსედესით მიუვარდა საკუთარ ბიძაშვილ თუ მამიდაშვილ შონ ბოუმენს, ვინძლო ფიქრობდა, ჩემი ცოლი მან თუ შეიფარაო. ხელში პისტოლეტჩაბღუჯულს სახლში არც ბიძაშვილი დახვედრია და არც ცოლი, სამაგიეროდ, უნახავს ვინმე ჩარლზ ჯონსი, ყმაწვილი, რომელთან ერთადაც იაფფასიან ბინას ქირაობდა მისი ბიძაშვილი. ხელთოფიანმა აივერსონმა და მისმა ბიძამ იოლად დააშინეს დამხვდური და გამოსძალეს ბოუმენის, იგულისხმება ტავანასიც, ყველა შესაძლო ადგილსამყოფლის მისამართი და საძებრად გავარდნენ.

აივერსონისგან დატერორებული 21 წლის ჯონსი გარკვეული პრინციპების ზანგი ჯეელი გამოდგა და პოლიციის ხმობა და ჩივილი არ დაუწყია. ეგაა, სასწრაფო სამსახურ 911-ში დარეკა და პოლიციამაც აქედან აიღო გეზი. პოლიციელებმა აივერსონი ბიძითურთ იმ მოტელის ავტოსადგომში დააკავეს, რომელშიც ცოლ ტავანას ოთახი ექირავებინა. ბიძა-ძმისწული მანქანებს შორის დაძრწოდნენ, ტავანას მანქანას თუ ეძებდნენ.

აივერსონი ბევრჯერ ჩავარდნია პოლიციას კლანჭებში და 17 წლისას ოთხი თვით ვირების აბანოც უხეხია. ახლა ის სახლში ზის და სასამართლოს ელოდება, ციხის კარი კი, ო, რა გულის გამაწვრილებლად ჭრიალებს.

**ᲗᲐᲛᲘᲚᲐ ᲒᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ**



რამდენიმე დღის წინ ალენ აივერსონის ოჯახში თეფშები არ იმტვრეოდა, ახლა კი ცოლქმრულ ჩხუბს დიდი უსიამოვნებები მოჰყვა

# მკვეხარა კოლო
## რა ცოტა უნდა როსეს ბედნიერებისთვის


ალექს კორეჩა

**შვეიცარიის ღია პირველობა**
გშტაადი. თიხნარი
საპრიზო 600 ათასი $

**მეორე წრე**
**დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:3; **მარკ როსე** (შვეიცარია) — ანდრეი პაველი (4, რუმინეთი) 7:5, 7:6 (7:1); **გასტონ გაუდიო** (7, არგენტინა) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:4; **ალექს კორეჩა** (8, ესპანეთი) — ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:4, 6:4

ხუან კარლოს ფერერო და დავიდ სანჩესი თვისტომები კი არიან, მაგრამ გშტაადურ სარბიელამდე ერთმანეთში უმჯობესის გარკვევის შანსი არასოდეს მისცემოდათ.

ამიტომაც იყო, მათ შეხლას კაიძალი ქომაგი რომ დაესწრო.

დაესწრო და არც ინანა. რადგანაც თამაში თამაშადაც კარგი გამოდგა და შედეგადაც მოულოდნელი.

ყველა როლან გაროსის წლევანდელი ფინალისტისა და ტურნირზე მეორე ჩოგნის მქნეველი ფერეროს უცილობელ გამარჯვებას რომ ელოდა, კოლობიჭს თურმე მუცლისქვედა (ანუ ბოქვენის) კუნთები ნატკიება და მატჩის მსვლელობისას თანდათან ისე შეუწუხებია, რომ წესიერად ბურთის მოწოდებასაც ვერ აზერხებდა.

წაგების უმთავრესი მიზეზი სწორედ ეგ იყო, თორემ არც მე ვარ ისეთი ჯაბანი და არც დავიდია ისეთი გარდანქეშანი, ეგ შეხვედრა ეგრე რომ დამთავრებულიყოო, ნამატჩევს, დააზლოებით ეგეთ რაღაცებს იძახდა ფერერო.

სანჩესმა კი ამ მოგებით სეზონის მეოთხედფინალი გაიხერხა და იქ მეორე სახელოვან მეთიხნარე თვისტომს, ალექს კორეჩას დაეჯახება.

ეს უკანასკნელი როლან გაროსზე მომავალ ჩემპიონთან და სიყრმის ძმაკაცთან, ალბერტ კოსტასთან წაგებული ნახევარფინალის შემდეგ პირველად მოუბრუნდა და ჩინებული შანსი აქვს, სერხი ბრუგერას შემდეგ კორტს მეორე კაცი გახდეს, ვისაც კი ოდესმე გშტაადის სამგზის დაწიოკება გამოსვლია. კორეჩა იქ 1998 და 2000 წლებში გაჩემპიონებულა.

მეორე წრეში მან ტურნირის 1997 წლის ჩემპიონ თანამეჯილაგე ფელიქს მანტიას აჯობა.

მისი სატიტულე შანსები ახლა მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ განთესილ მეჩოგნეთაგან კორტს მის გარდა მხოლოდ არგენტინელი გასტონ გაუდიოლა (7) შემორჩა.

გაუდიომ, წლეულს მალიორკასა და ბარსელონაში მოხვეჭილი ტიტულებით რომ თავმომწონეობს, ნიჭიერი რუსის მიხაილ იუჟნის დამორჩილება სეტისწაუგებლად მოახერხა. თავისი მესამე საამსეზონო ტიტულისკენ მიმავალ გზაზე ის მეოთხედფინალში ადგილობრივთა ბებერ ჯილას, ხუთი შვეიცარიელიდან ეულად დაშმთარ მარკ როსეს უნდა შეეყაროს.

31 წლის როსე თავის მხრივ რუმინელ ანდრეი პაველს (4) გასცდა.

ნამატჩევს იგი გასენტიმენტალებულიყო:

კარიერის განმავლობაში იშვიათად ვყოფილვარო — ბედნიერი, ამბობდა — დღეს კი ძალიან ბედნიერი ვარ და მსურს, ეს გრძნობა ტურნირის ბოლომდე კაცურად შევინარჩუნოო.

მაშ!

**შვედეთის ღია პირველობა**
ბასტადი. თიხნარი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**
**კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:4; **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — გორკა ფრაილე (ესპანეთი) 6:4, 2:6, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) — ფერნანდო გონსალესი (6, ესპანეთი) 6:3, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 6:2

ადგილობრივ ქომაგთა უდიდეს ინტერესს იმდღევანდელი შეხლებიდან ტურნირის ორგზის გამარჯვებულის, მაგნუს ნორმანისა და სლოვაკი დომინიკ ჰრბატის დაპირისპირება იწვევდა. ჩოგბურთის ქართველ მოხთა გულისყური კი, ბუნებრივია, ჩვენიანი ირაკლი ლაბაძისა და ესპანელი დიდმეჩოგნის, 1998 წლის მეროლანგაროსის, კარლოს მოიას შეხვედრისკენ იყო მიპყრობილი.

ვაგლახ — თუკი აქაურებს არ გაგვიმართლა, იქაურებს ნაღდად გასახარად ჰქონდათ საქმე. ჰრბატის ძლევას ნორმანმა სამი სეტი კი მოანდომა, მაგრამ, რაკიღა ბარძაყის ტრავმის გამო რაგინდარა ტურნირის მეოთხედფინალამდე უკვე ერთი წელი იყო, ვეღარ მიეღწია, თავადაც ჰალალად გაიხარა.

წლეულს პირველადაა, ტიტულის მოპოვების შანსი რომ ვიგრძენიო, ამბობდა ნაჰრბატევს.

მომდევნო მატჩს იგი ესპანელ ტომი რობრედოსთან გამართავს, კაცთან, ვინაც თვისტომი გორკა ფრაილე გაიარა.

ლაბაძის მძლეველი მოია კი რუს ნიკოლაი დავიდენკოს შეეხლება. რუსისგან ჩილელი გონსალესის ოტებას მაინცდამაინც არავინ ელოდა.

**HALL OF FAME**
ნიუპორტი, როდ აილენდი
თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**ტეილორ დენტი** (აშშ) — ალექსანდრ პოპი (5, გერმანია) 6:3, 6:2; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:3, 6:1

ჭაბუკი ამერიკელები — ტეილორ დენტი და რობი ჯინეპრი თავიანთ პირველ ნახევარფინალებს დააგემოვნებენ. თუკი მათ სატურნირო ბადის იქითა მხარეზე მყოფი თვისტომებიც — მერდი ფიში, ჯეიმს ბლეკი და ჯასტინ გიმელსტობი — აჰყვებიან, ვინძლო ბოლო ოთხეული სრულიად ამერიკული გამოდგეს.

ამგვარი რამ 1995 წლის სან ხოსეს ტურნირის შემდეგ არ მომხდარა, როცა ანდრე აგასიმ, მაიკლ ჩანგმა, ჯიმ კურიემ და მალივაი უოშინგტონმა სანახევარფინალოდ არც ერთი არაამერიკელი არ გააჭაჭანეს.

**ლევან ძელაურაძე**

**FRENCH COMMUNITY CHAMPIONSHIPS**
ბრიუსელი. თიხნარი
საპრიზო 140 ათასი $

**არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (1, ესპანეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:3; **ბარბარა შეტი** (2, ავსტრია) — ლიბუშე პრუსოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:0; **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) — ევა დირბერგი (დანია) 7:5, 6:4; **ვირხინია რუანო პასკუალი** (6, ესპანეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:1, 6:2; **მარტინა მიულერი** (7, გერმანია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:4, 3:6, 6:2

**პალერმოს საერთაშორისო ტურნირი**
თიხნარი. საპრიზო 110 ათასი $

**ჰენრიეტა ნაგიოვა** (2, სლოვაკეთი) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 7:5, 6:3; **სელინ ბეგბედე** (საფრანგეთი) — გლორია პიციკინი (იტალია) 6:3, 6:3; **ნადეჟდა ოსტროვსკაია** (ბელარუსი) — ანჯელიკა რიოში (გერმანია) 3:6, 6:4, 6:4


კარლოს მოია


მაგნუს ნორმანი



# ბორჯღალოსნებმა დაიწყეს ექსპერიმენტი ჩაუტარეს

**ბათუმში** შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ სპარინგი გაუმართა ადგილობრივ „დათვებს“ და 14:9 მოუგო. ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა და 25 მორაგბე გამოსცადა. ამით ბორჯღალოსანთა 10-დღიანი შეკრება დასრულდა. დღეს მორაგბეები თავთავიანთ კლუბებს მიაშურებენ და ისევ შეიკრიბებიან აგვისტოში, როცა 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისთვის სორელისეული მზადების მომდევნო ეტაპი დაიწყება.

**თამილა ჭუმბურიძე**

## სამი ერი 2003

# სამი ერი თითქმის ომით იწყება


ჯონა ლომუ ომში არ წაიყვანეს

**დღეს** სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი ტურნირი, სამი ერი იწყება. ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა სამხრეთში პირველობისთვის იწყებენ ბრძოლას. ერთთვიანი ექვსმატჩა ტურნირი სამივე ქვეყანას მოიცავს და იქნება დრამატული ჯახები, უკვე „თითქმის ომად“ შერაცხული ახალი ზელანდია — ავსტრალია, ბოლო წუთზე გატანილი ლელოები, არეკნები, ჯარიმები...

წლევანდელ გათამაშებას გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, თუმც სპეციალისტთა ვარაუდით, სხვებზე მეტი შანსი ახალ ზელანდიას აქვს. „ოლ ბლექსს“ სამხრეთ ნახევარსფეროში საკუთარი ბატონობის აღდგენა სწადია, საამისო ძალა კი ნაღდად შესწევს. ჯონ მიტჩელის ხელში „შავები“ იბრუნებენ მრისხანე გუნდის სახეს და მეტოქეს მეტოქეზე აცამტვერებენ. ახალმა ზელანდიამ საგაზაფხულო ტესტ-სერიებში ყველა მატჩი მოიგო, თანაც ისე, რომ ყველასი და ყველაფრის მლეწავი მთაკაცი ჯონა ლომუ სანახევროდ გამოიყენა.

ახალზელანდიელთა მთავარი კონკურენტი ავსტრალიაა. „ვოლაბები“ ლამის ყველა ტიტულის მფლობელები არიან. ბოლო სამი წლის მანძილზე მათ მოიგეს მსოფლიოს, ბლედისლოუს (ახალი ზელანდიასა და ავსტრალიას შორის თამაშდება), მანდელას თასები, შარშანწინდელი და შარშანდელი სამი ერი.

ავსტრალია წლეულსაც ფავორიტია, მას მშვენიერი შანსი აქვს, სამხრეთ ნახევარსფეროში თავისი ერთხელისუფლებიანობა კიდევ ერთი წლით შეინარჩუნოს. ერთადერთი, რაც ავსტრალიელთა შანსებს ოდნავ ამცირებს, ლეგენდარული კაპიტნის ჯონ ილზის არყოფნაა. ილზი შარშან გამოეთხოვა რაგბის. მინდა, გამარჯვებული წავიდეო, თქვა კაპიტანმა და შარშანდელი სამი ერის შემდეგ სანაკრებო კვართი აღარ მოურგია. თუმც ილზის წასვლიდან წელიწადი გავიდა და ავსტრალიაც ულზობას შეეჩვია.

სამხრეთ აფრიკას შეუძლია, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დავაში ჩაერიოს და აუტსაიდერის იმიჯი მოიშოროს. 1998 წლიდან მოყოლებული, „ქურციკები“ ულიმლამოდ ასპარეზობდნენ სამ ერზე და დიდ მიღწევად ეთვლებოდათ, როცა ერთს ან უკეთეს შემთხვევაში ორ მატჩს მოიგებდნენ. ახლა გუნდი რუდი სტრაულიმ ჩაიბარა და შემადგენლობა ლამის ძირფესვიანად შეცვალა. სტრაულისეული ნაკრების შეფასებისას სპეციალისტები ერთობ ფრთხილობენ, რაკი გუნდის ნამდვილი ძალა სწორედ რომ სამ ერზე გამოჩნდება. ტესტ-მატჩები კი „ქურციკებმა“ ფრიადზე ჩააბულბულეს და რამდენჯერმე ის ეშხიანი და ეგზოტიკური რაგბიც ითამაშეს, მათ რომ ახასიათებთ. „მე გადავახალისე შემადგენლობა და ისეთი გუნდი შევკარი, რომ ნებისმიერს შეუძლია ლიდერობა. დროა, მსოფლიოს გავახსენოთ, ვინ ვართ და ძველი დიდება დავიბრუნოთ“ — ამბობს სტრაული, ვისაც ყველაზე მეტად უმთამაშებლის, ბრენტ რასელის ეიმედება და სულ იმას გაიძახის, მალე მსოფლიო დონის ვარსკვლავი დადგებაო.

ახლა კი დღევანდელ მატჩზე: ახალი ზელანდია — ავსტრალია.

„ოლ ბლექსის“ მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა საამატჩოდაც უარი თქვა შემტევ ზედუეტზე — ტანა უმაგასა და ჯონა ლომუზე. მიტჩელი უფრო ენდობა მარკ რობინსონს და 24 წლის კალებ რალფს, რომელმაც ჯონა ლომუ უნდა შეცვალოს. „ვხვდები, რამხელა პასუხისმგებლობა მაკისრია, ლომუს მაგივრობა უნდა გავწიო, რაც უძნელესი საქმეა. ბოლომდე ვითამაშებ და თავს არ დავზოგავ“ — თქვა რალფმა, ვინც წლეულს „კრუზეიდერსთან“ ერთად ზე-12-ის ჩემპიონი გახდა. საერთოდ, „ოლ ბლექსის“ საავსტრალიო შემადგენლობაში 15 კრუზეიდერსელია. ახალზელანდიელებს არ ეყოლებათ დაშავებული კაპიტანი ანტონ ოლივერი.

ავსტრალია კი საბრძოლო რაზმით ეწვევა მეტოქეს და მათი მორკინალის, ტოუტაი კეფუს განცხადებით, შინ გამარჯვებულები გაბრუნდებიან. სტატისტიკის მიხედვით, უპირატესობა ავსტრალიის მხარესაა. ბოლო სამ ერზე „ვოლაბებმა“ 4-ჯერ მოუგეს „ოლ ბლექსს“ და აქედან ორჯერ სტუმრად.

**ბაჩო სვანიძე**


ჯონ ილზი

**სამი ერის განრიგი**

| | | |
|---|---|---|
| 13 ივლისი | ახალი ზელანდია — ავსტრალია | კრაისტჩერჩი |
| 20 ივლისი | ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა | ველინგტონი |
| 27 ივლისი | ავსტრალია — სამხრეთ აფრიკა | ბრისბენი |
| 3 აგვისტო | ავსტრალია — ახალი ზელანდია | სიდნეი |
| 10 აგვისტო | სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია | დურბანი |
| 17 აგვისტო | სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია | იოჰანესბურგი |

## ტურ დე ფრანსი 2002

# ლომი თუ ხარ, ზოგჯერ კურდღელიც უნდა იყო



იან კირსიპუუ

REUTERS

**თუ რამე** აცოცხლებს რბოლას ვაკე-ეტაპებზე, ეს შეტევებია. მართალია, ეს ზოგჯერ ტაქტიკური, ზოგჯერ კი თვითმიზნური გაქცევები გუნდების ლიდერების მეშვეობით არ ხორციელდება, მაგრამ განსაკუთრებულ ეშხს მაინც სძენს ეტაპს. პელოტონი მთვლემარე ლომივითაა — მშვიდი, საკუთარ ძალაში დარწმუნებული. თუმცა მხოლოდ მანამდე, სანამ ვინმე ურჩი კრავივით არ გაუხტება წინ. მაშინ კი წამოწევს თავს, აათვალ-ჩაათვალიერებს და თუ დარწმუნდება, რომ მართლა კრავია, თვლემას გააგრძელებს.

არ მახსენდება შემთხვევა, რომ პელოტონს სერიოზული, სათვალავში ჩასაგდები ველომრბოლი გაქცეოდეს. აი, პარიფები კი რამდენიც გნებავთ, ყოველ ეტაპზე და თან დასტა-დასტა.

მეხუთე ეტაპი გამონაკლისი არ ყოფილა. სუასონ-რუანის შუაგზაზე, დაახლოებით 90 კმ-ის ნიშნულზე ძირითად ჯგუფს ხუთნი გამოეყვნენ. ესტონელი იან კირსიპუუ, დანიელი მაიკლ სანდსტოდი, იტალიელი სტეფანო კასაგრანდა, ფრანგი კრისტოფ ედალაინი და ბელგიელი ლუდო დირქსენსი. სხვადასხვა ამპლუის, სხვადასხვა გუნდების, სხვადასხვა ქვეყნების ამ ინტერნაციონალურ ჯგუფს ერთი რამ აერთიანებდა — ლიდერებთან ჩამორჩენა. ამათგან ყველაზე უკეთესი შედეგი ფრანგს ჰქონდა, მაგრამ ეს უპირატესობაც ერთობ პირობითი იყო — 5-წუთიანი პასივი იმ დროს, როდესაც 6-მთიანი ეტაპი წინ არის, ტურის ლიდერებს არავითარ საშიშროებას არ უქადის.

შეტევა ერთგვარი არეულობით დაიწყო, რომელშიც ოციოდე სპორტსმენი მონაწილეობდა. თუმცა ამ მოჩვენებით ქაოსში კარგად იკითხებოდა პირველი ტაქტიკოსის ლორან ჟალაბერის ხელი. დირექტივა კი უეჭველად „ტისკალის" სპორტული დირექტორისა და მენეჯერის, 1997 წლის ტურის ჩემპიონის ბიარნე რიისისგან მოდიოდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამ ჭკვიანი კაცის ხელში საშუალო მონაცემების სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა გუნდმა სულ რაღაც ორ წელიწადში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. თვით 35 წლის ჟალაბერიც კი, რომელიც, შეიძლება ითქვას, კარიერის უკანასკნელ კვირებს ითვლიდა, რაღაც ახალი, ერთობ საინტერესო სახით წარმოჩნდა საველოსპორტო სცენაზე.

ერთი სიტყვით, „ჟაჟამ" ისე მოაწყო საქმე, რომ იმ ხუთეულში თავისი კაცი დატოვა და გზაც დაულოცა.

როგორც კი დარწმუნდა პელოტონი, რომ თვითონ ჟაჟა არსად აპირებდა გაქცევას, დამშვიდდა და ისევ მილულა თვალები. გაქცეულები კი ხელდაკაპიწებულნი შეუდგნენ საქმეს. სხვაობა ნელ-ნელა იზრდება. ფინიშამდე 80 კილომეტრით ადრე — 1 წთ და 30 წმ, 65 კილომეტრით ადრე — 3 წუთი და 40 წამი. და მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქ რუანამდე 50 კილომეტრი იყო დარჩენილი, სხვაობამ კი 4 წუთზე მეტს მიაღწია, ძირითადმა ჯგუფმა იკადრა და სიჩქარეს მოუმატა. დაახლოებით ეტაპის 180-ე კილომეტრზე (სუასონსა და რუანს შორის სულ 198 კილომეტრია) პელოტონის ბოლოში მომხდარი ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა „ლამპრეს" იტალიელი მრბოლი მარკო პინოტი. მცირე ტრავმები მიიღეს სხვებმაც, მაგრამ ამას როგორმე მოევლებოდა, აი სიჩქარეაკრეფილი პელოტონის დაწევა კი ავარიაში მოყოლილმა ჯგუფმა ველარ შეძლო და ფინიშთან რვაწუთიანი დაგვიანებით მივიდა. სამწუხაროდ ამ ჯგუფში აღმოჩნდა ბასკების გუნდის ლიდერი დავიდ ეჩებერია და „ალერიოს", შეიძლება ითქვას, ერთადერთი იმედი ლორან დიუფო.

ამასობაში გრძელდება გაქცეულთა დევნა. არც დაწინაურებულები და არც მდევრები იმედს არ კარგავენ, რომ ეს მცდელობა მათ [illegible] ლდება. თუმცა მხოლოდ მაშინ, როცა ფინიშამდე 8 თუ 9 კილომეტრიღა რჩებოდა, საბოლოოდ გაირკვა, რომ ლომი კურდღელი არ არის და საკმაოდ ხშირად ღალატობს სიფხიზლე. ეს ეტაპი და ეს დღე ძირითად ჯგუფში მოკალათებული სპრინტერებისთვის დაკარგული იყო — სუასონში შეგულებული ნადავლი თავხედ ხუთეულს დარჩა.

იქ კი, სადაც ეტაპის გამარჯვებულის სახელისა და სპრინტერული ქულებისთვის იბრძოდნენ, კინაღამ 100 პროცენტით გამართლდა ბიარნე რიისისა და ჟალაბერის ეშმაკური ჩანაფიქრი. მათმა თანაგუნდელმა სანდსტოდმა სულ რაღაც ნახევარი მეტრი წააგო პროფესიით სპრინტერთან, ესტონელ იან კირსიპუუსთან.

**ირაკლი ბერიაშვილი**



ავარია 180-ე კილომეტრზე, რომელსაც ლამპრელი მარკო პინოტი კინაღამ ემსხვერპლა

REUTERS



### ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **V ეტაპი. სუასონ-რუანი. 198 კმ** | |
| 1. იან კირსიპუუ (AG2R, ესტონეთი) | 4 სთ 13 წთ 33 წმ |
| 2. მაიკლ სანდსტოდი (CSC-ტისკალი, დანია) | იგივე დრო |
| 3. სფეფანო კასაგრანდა („ალესიო", იტალია) | იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. იგორ გონსალეს გალდეანო („ონსე", ესპანეთი) | 19 სთ 05 წთ 56 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | + 4 წმ |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | + 7 |
| **საუკეთესო სპრინტერი** | |
| 1. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 113 ქულა |
| 2. რობი მაკიუენი („ლოტო", ავსტრალია) | 111 |
| 3. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) | 80 |
| **მთის მეფე** | |
| 1. კრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) | 29 ქულა |
| 2. შტეფან ბერგერი (AG2R, საფრანგეთი) | 26 |
| 3. ლუდო დიერექსენსი („ლამპრე", ბელგია) | 15 |
| **გუნდური** | |
| 1. ონსე | 57 სთ 18 წთ 04 წმ |
| 2. US პოსტალი | + 42 წმ |
| 3. CSC ტისკალი | + 1 წთ 36 წმ |
| **VI ეტაპი 12 ივლისი ფორჟ-ლეზო — ალანსონი 199,5 კმ** | |
| 1. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 4 სთ 23 წთ 07 წმ |
| 2. ოსკარ ფრეირე („მაპეი", ესპანეთი) | იგივე დრო |
| 3. რობი მაკიუენი („ლოტო", ავსტრალია) | იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. იგორ გონსალეს გალდეანო („ონსე", ესპანეთი) | 23 სთ 29 წთ 03 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | + 4 წმ |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | + 7 |



# ხუთი რგოლი აგორდა, ხუთივე მხარეს გაგორდა

ბადრი პატარკაციშვილის საქართველოში საქმიანობა სპორტსაც მისწვდა და ერთ-ერთი აქ გაკეთებულთაგანი საქართველოს ოლიმპიური ფონდის დაფუძნებაა. გუშინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ოლიმპიური ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით სასტუმრო „სიმპათიის" საქტო დარბაზში საპრესკონფერენციოდ გვიხმო. პრესკონფერენციას უძღვებოდნენ საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც იმავდროულად ოლიმპიური ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ოლიმპიური ფონდის საქმიანობა პირველი ივლისიდან დაიწყო. ფონდის გამგეობის პირველმა სხდომამ, რომელსაც ფონდის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი თავმჯდომარეობდა, წლევანდელი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები უკვე განიხილა და დაასკვნა, რომ მისი მოღვაწეობა არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულებას ზოგადად სპორტის, კერძოდ კი ოლიმპიური სახეობების დაფინანსებაში. ფონდი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, თავის მხრივ შეეცდება მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ოლიმპიური სახეობების განვითარებას.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ 2002 წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი ოლიმპიური ფონდის პროგრამის ბიუჯეტი 400 000 ლარია. მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ფონდის სტრატეგიულ ამოცანაა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ხელშეწყობა, სპორტსმენებისთვის და მწვრთნელებისთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნა.

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ ოლიმპიური ფონდის ამოცანათა შორის ხუთი ძირითადი საკითხია. მათ შორის პირველი სწორედ ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების ხელშეწყობა გახლავთ. მეორე სასიხარულო საკითხი ისაა, რომ 2002 წლის მეორე ნახევრიდან 60-ზე მეტი სპორტსმენი და მწვრთნელი მიიღებს ფონდის მიერ დაწესებულ ყოველთვიურ სტიპენდიას, შესაბამისად 200-500 და 200-300 ლარის ფარგლებში. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩვენი ოლიმპიელები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგანაც იღებენ დახმარებას და საქართველოს შესაბამისი ფედერაციებიდან თუ სპორტის დეპარტამენტიდან.

ოლიმპიური ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად საკითხად გვესახება ოლიმპიური თამაშების ვეტერანი ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის, რომლებსაც შეუსრულდათ 60 (მამაკაცებს) და 55 (ქალებს) წელი, სტიპენდიების დანიშვნა. კერძოდ, ოლიმპიური ჩემპიონები ყოველთვიურად მიიღებენ 300-300, მეორე პრიზიორები 250-250, ბრინჯაოს მედალოსნები 200-200 ლარს.

ასევე ფონდის უმთავრესი მიზანი გახლავთ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა რამდენიმე გუნდის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის შეკრებებისა და ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის ნაწილობრივი დაფინანსება. უყურადღებოდ არ დარჩება სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხი.

წლეულს აღინიშნება საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში დებიუტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ოლიმპიური ფონდი არც ამ იუბილის უყურადღებოდ დატოვებას აპირებს, მეტიც, 4 ოქტომბერს იგი გრანდიოზული ღონისძიების დაფინანსებას გეგმავს.

ოლიმპიური ფონდის გეგმებში მნიშვნელოვანია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ სპორტული ენციკლოპედიის გამოსაცემად ფინანსური მხარდაჭერა.

ბუნებრივია, წლევანდელი სპორტული სეზონის გასვლასთან დაკავშირებით საახალწლოდ საზეიმო შეხვედრაც გაიმართება და შედეგებიც შეჯამდება, რაშიც ფინანსური მხარდაჭერით თავის წვლილს შეიტანს ოლიმპიური ფონდი.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედოფალსაც შეხვდა

ლიდსს სწვევია ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე და ჰარელვუდ ჰაუსში შეხვედრია იორკშირის რჩეულ საზოგადოებას. იმათ შორის კი, რა თქმა უნდა, „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილსა და ახალდანიშნულ მენეჯერს, ტერი ვენეიბლზს, რომელიც არ მალავს, რომ გუნდის გაჩემპიონება დაუსახავს მიზნად.



REUTERS ლონდონიდან

# ფინტი

ამას ამერიკული ბურთაობის ენაზე ფინტი ჰქვია. ქვედამ ზედას აჭამა. კანადურ ლიგაში ოტაველი დენ კროული მოხერხებულად დაუძვრა ვინიპეგელ დეივ დონალდსონს და ამ უკანასკნელმა სულ ტყუილად იფრინა.



REUTERS ოტავადან

# შაკი ჯეისთან

დიდად ხითხითა კაცს, ჯეი ლენოს თავის ღამის შოუში მიუწვევია ლეიკერსელი გოლიათი შაკილ ონილი. შაკილს გუშინწინ იესპის საგანგებო სპორტული ჯილდო მიუღია და ახლა ჯეი შესთხოვს, ცოტახნით მათხოვეო.





REUTERS

# საფარი

დახეთ, რაგვარი მოწიწებით უპყრია ხელთ კენიის დროშა ბრიტანეთის პრინც ედვარდს. ეს იმას ნიშნავს, რომ გახურდა უგანთქმულესი საფარი რალი, მსოფლიოს 14 უგანთქმულეს რალთაგან უგრძესი, და სამჯერ გრძელი, ვიდრე ყველაზე გრძელი ევროპული რალი. კენიის დადაქალაქ ნაირობში თავი მოუყრია ყველა ცნობილ პილოტს და მის თანაშემწეს. ნაირობიდან 78 კილომეტრის მოშორებით კი მტვერში გახვეულა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის და შარშანდელი საფარის მომგების, ფინელი ტომი მაკინენისა და მისი თანამძღოლის კაი ლიდსტრიომის „სუბარუ იმპრეზა“. ეს ამბავი წინასწარი გარბოლის დროს მომხდარა.



REUTERS ნაირობიდან



# უდიდებულესობებთან ერთად

ცნობილი ბელგიური სანაოსნო ეკიპაჟი „ბელგაკომი“ ამ დღეებში სამშობლოს წყლებში ვარჯიშობს. გუნდს ქვეყნის კრონპრინცი ფილიპი (მარჯვნიდან მეორე) და პრინცესა მატილდე სწვევიან და მათთან ერთად შეუცურავთ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზველეძიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge